პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

შაბათი
28
ნოემბერი
1936 წ.
№ 275 (4774)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია მორალური დახმარება და რეალური საყრდენი იქნება ყველა იმათთვის, ვინც ახლა ბრძოლას აწარმოებს ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ.

ი. სტალინი

გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!

სოციალიზმის ისტორიაში, კაცობრიობის ისტორიაში 1936 წლის 25 ნოემბერი შევა ერთერთ ყველაზე სამახსოვრო თარიღად. კრემლის დიდი სასახლის ტრიბუნიდან — ახალი მსოფლიოს ამ უმაღლესი ტრიბუნიდან — მშრომელი კაცობრიობის ბელადმა სტალინმა საბჭოების სრულიად-საკავშირო მე-8 ყრილობას გაუკეთა მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ. მას უსმენდნენ სასახლეში ყრილობის დელეგატები, რომელთაც წილად ხვდათ ბედნიერება საბოლოოდ დაამტკიცონ გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუცია. ყრილობის დელეგატებთან ერთად ამხანაგ სტალინის მოხსენებას ისმენდა მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი თვალუწვდენი საბჭოთა კავშირი — არხანგელსკიდან ბათუმამდე, მინსკიდან ვლადივოსტოკამდე, საბჭოთა კავშირის გულიდან — მოსკოვიდან პატარა წერტებამდე — არქტიკის პაწაწა კუნძულებამდე. მთელმა მსოფლიომ გაიგონა სტალინის უბრალო და მძლავრი სიტყვა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაზე, როგორც განვლილი გზის დიად შედეგზე, უკვე მიღწეულ მონაპოვართა შედეგზე.

ასეულ თაობათა ყველაზე თამამი ოცნებანი განხორციელებული არიან, რეალობად გახდნენ და ხდებიან საბჭოთა ქვეყანაში. მსოფლიო ათას წლობით იყოფოდა ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა კლასებად, კაცობრიობას საუკუნეთა განმავლობაში უბედურებად დასწოლია თავს საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება—ბურჟუაზიული წყობილების საფუძველი. იგი წარმოშობს სიღატაკეს, უმუშევრობას, შიმშილს მილიონობით ადამიანთა შორის, იგი კაცობრიობას სწამლავს ანგარების, შურის, ნაციონალური და რასობრივი მტრობის და რელიგიური ველურობის შხამით.

სსრ კავშირში მუშათა კლასის დიქტატურის ცხრამეტმა წელმა უკვე მოგვცა ის, რომ ძირფესვიანად დანგრეულია ძველი სამყაროს ბურჯები, — ჩვენს ქვეყანაში ლიკვიდირებული არიან ექსპლოატატორული კლასები, მოსპობილია ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაცია, და საზოგადოების ურყევ საფუძვლად გახდა საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება.

სტალინურმა ხუთწლედებმა გამოიწვიეს ჩვენი ქვეყნის აყვავება, და „ჩვენ ახლა გვაქვს ახალი, სოციალისტური ეკონომიკა, რომელმაც არ იცის კრიზისები და უმუშევრობა, არ იცის სიღატაკე და გაჩანაგება და რომელიც აძლევს მოქალაქეებს ყოველგვარ საშუალებას შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის" **(სტალინი)**. ეცემა, იშლება საზღვრები კლასებს შორის, ისპობა ათასწლოვანი უფსკრულები და ნაპრალები ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის.

ნაციონალური შუღლი, რომელსაც მმართველი კლასები მონათმფლობელური, ფეოდალური და განსაკუთრებით ბურჟუაზიული წყობილების მთელ მანძილზე ხელოვნურად აღვივებდნენ, მხოლოდ საბჭოთა კავშირში შეიცვალა ჩვენს მშვენიერ სამშობლოში მოსახლე ყველა ხალხის უმტკიცესი მეგობრობით. და ახალი სამყაროს ტრიბუნიდან მისმა შემოქმედმა სტალინმა, უდავო ფაქტებზე დაყრდნობით, მთელი ყრილობისა და მთელი ჩვენი ქვეყნის მქუხარე ტაშის გრიალში, შესძლო განეცხადებინა, რომ სოციალიზმის ცხოველმყოფელმა ძალამ უკვე ძირფესვიანად შესცვალა სსრ კავშირის ხალხთა სახე.

> „გაქრა მათში ურთიერთ უნდობლობის გრძნობა, განვითარდა მათში ურთიერთ მეგობრობის გრძნობა და, ამგვარად, მოგვარდა ხალხთა ნამდვილი ძმური თანამშრომლობა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში.
>
> ამის შედეგად ახლა ჩვენ გვაქვს სავსებით ჩამოყალიბებული მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და რომლის სიმტკიცეც შეშურდებოდა რომელიც გნებავთ ნაციონალურ სახელმწიფოს ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწილში".

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის ექვსი ძირითადი თავისებურება დაახასიათა თავის მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა. მათში, ამ თავისებურებებში, სტალინური კონსტიტუციის ყოველ პუნქტში მოჩანს ის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი, რომ სსრ კავშირში უკვე შექმნილია ახალი საზოგადოებრივი წყობილება, რომლის სახელია სოციალიზმი.

> „ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებამ, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა — მიაღწია იმას, რომ ძირითადად უკვე განახორციელა სოციალიზმი, შექმნა სოციალისტური წყობილება, ე. ი. განახორციელა ის, რასაც მარქსისტები სხვანაირად კომუნიზმის პირველ ანუ დაბალ ფაზას უწოდებენ. მაშასადამე, ჩვენში ძირითადად უკვე განხორციელებულია კომუნიზმის პირველი ფაზა, სოციალიზმი".

სოციალიზმი ფაქტი გახდა. ფაქტს წარმოადგენს სოციალისტური ეკონომიკის აყვავება, ფაქტს წარმოადგენს საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეთა უფართოესი უფლებანი — უფლებანი, რომელთა შესახებ ოცნების გაბედვაც კი არ შეუძლია მშრომელ ადამიანს კაპიტალისტურ სახელმწიფოში. სსრ კავშირში ფაქტი გახდა სახელმწიფოს მართვის უფართოესი, არსად და არასოდეს გაგონილი, ნამდვილი, ესე-იგი სოციალისტური დემოკრატიზმი, ნამდვილი დემოკრატია არა ექსპლოატატორებისათვის, არამედ მთელი ხალხისათვის.

ფაქტი გახდა მთელი საბჭოთა ხალხის ბედნიერი, მხიარული, სულ უფრო და უფრო შეძლებული ცხოვრება. ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნო არ არის ბურჟუაზიული მსოფლიოს მბრძანებელთათვის, და ისინი ცდილობენ დუმილით გვერდი აუარონ ფაქტებს, ან დაამახინჯონ, გადაასხვაფერონ ისინი. ჩვენმა ბელადმა და მასწავლებელმა სტალინმა რკინისებური თანმიმდევრობითა და ლოგიკით მოსპო, ამხილა, გაანადგურა და სასაცილოდ აიღო ბურჟუაზიულ კრიტიკოსთა უღირსად სულელური მოსაზრებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ. მან მთელი ქვეყნიერების სამასხაროდ გამოიყვანა ფაშისტი მოღვაწენი, როგორც სალტიკოვ-შჩედრინის მოთხრობათა გონებაჩლუნგი და ყოყოჩა ჩინოვნიკების იდეური ჩამომავალნი. ამ ადამიანებს უნდათ „დახურონ" სსრ კავშირი — სოციალიზმის დასაყრდენი. მაგრამ „ეს მათზე არ არის დამოკიდებული".—საბჭოთა კავშირი სოციალიზმის ურყევ სალკლდედ არის აღმართული კაპიტალისტური ბარბაროსობის ზღვაში. და ქვეყნად ვერავითარი ძალა ვერც „დახურავს", ვერც დაამარცხებს მას, ვერც შეაჩერებს კომუნიზმის შექმნის დიად პროცესს, რომელიც მასში სწარმოებს.

ამხანაგ სტალინის მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ სოციალიზმის მატიანეში შევა, როგორც ერთერთი ყველაზე საუცხოო ფურცელი. ოთხმოცდაათი წლის წინათ მარქსი და ენგელსი „კომუნისტურ მანიფესტში" განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ იმ აზრს, რომ ექსპლოატირებული და ჩაგრული კლასი — პროლეტარიატი ვერ განთავისუფლდება მისი ექსპლოატაციის გამწევი და მჩაგვრელი ბურჟუაზიის კლასისაგან, თუ ამავე დროს მთელ საზოგადოებას სამუდამოდ არ გაათავისუფლებს ექსპლოატაციისაგან, ჩაგვრისა და კლასობრივი ბრძოლისაგან. ამ მოწინავე როლისათვის ათეული წლობის განმავლობაში ამზადებდა რუსეთის მუშათა კლასს, ამზადებდა, ზრდიდა, ბრძოლებში აწრთობდა ბოლშევიკების პარტია, ლენინ-სტალინის პარტია.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირის მუშათა კლასი ჩინებულად ასრულებს ამ თავის ისტორიულ მისიას,—მან გაათავისუფლა თავი და გაათავისუფლა მთელი საზოგადოება ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის ჩაგვრისაგან. დიქტატურამ მუშათა კლასისამ, რომელსაც სსრ კავშირის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, ყველა ხალხისათვის სოციალიზმის საუცხოო ნაყოფი მოიტანა და მოაქვს. და ბოროტებით აღსავსე ბურჟუაზიულ კრიტიკას სსრ კავშირის ხალხებმა თავისი ბელადის ამხანაგი სტალინის პირით უპასუხეს:

> „მე უნდა ვაღიარო, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი მართლაც ძალაში სტოვებს მუშათა კლასის დიქტატურის რეჟიმს, ისევე როგორც უცვლელად სტოვებს სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ახლანდელ ხელმძღვანელ მდგომარეობას. **(მქუხარე ტაში)**. თუ პატივცემულ კრიტიკოსებს ეს კონსტიტუციის პროექტის ნაკლად მიაჩნიათ, მაშინ შეგვიძლიან მხოლოდ სინანული გამოვთქვათ ამის გამო. ჩვენ კი, ბოლშევიკები, ამას კონსტიტუციის პროექტის ღირსებად ვთვლით. **(მქუხარე ტაში)**.

კონსტიტუციის შემოქმედი ამხანაგი სტალინი ამბობდა თავისი ისტორიული მოხსენების დასკვნით სიტყვებს, ხალხებისადმი საუცხოო სიყვარულით აღსავსე და ხალხთა მჩაგვრელებისადმი მწველი სიძულვილით აღსავსე სიტყვებს, სიტყვებს ახალი კონსტიტუციის მნიშვნელობის შესახებ,—და მთელი მსოფლიო ისმენდა უდიდესი ადამიანის ამ სიტყვებს ჩვენი ეპოქის უდიდესი დოკუმენტის შესახებ. და ამ მგზნებარე სიტყვების პასუხად მშრომელი კაცობრიობის ასეული მილიონების გულიდან ამოხეთქავს ერთსულოვანი შეძახილი:

დაე დღეგრძელი იყოს სტალინი!
დაე დღეგრძელი იყოს სტალინური კონსტიტუცია!

„პრავდის" მოწინავე, 27/XI.

ჭიათურის მაღაროელთა მორიგი გამარჯვება

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს — ამხ. ლ. ბერიას ახალი „კომუნისტის" რედაქციას.

ჭიათურის მუშებმა შეასრულეს დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისათვის, მოლოტოვისა, ორჯონიკიძისა და ლ. ბერიასათვის მიცემული დაპირება: წლიური გეგმა — 1.400.000 ტონა მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადება — შესრულებულია საბჭოების საგანგებო VIII საკავშირო ყრილობის გახსნის დღისთვის — 25 ნოემბრისათვის.

ჭიათურის მაღაროელთა მიერ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XIX წლისთავზე აღებული ვალდებულება წლის ბოლომდე გეგმის ზევით 120.000 ტონა მარგანეცის მიცემის შესახებ შესრულებული იქნება.

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანი —
ბ. კალმახელიძე
მარგანეცის ტრესტის მმართველი — ბ. არუთინოვი.

საბჭოების საგანგებო VIII ყრილობა

ამხ. პ. პ. ლიუბჩენკოს სიტყვა

(უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე)

— საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობას უკრაინა შეხვდა, როგორც მძლავრი ქვეყანა, როგორც დიდი საბჭოთა კავშირის განუყრელი ნაწილი, როგორც ქვანახშირის, მანქანათმშენებლობის ქვეყანა, როგორც საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების რესპუბლიკა, როგორც ახალ ადამიანთა რესპუბლიკა, რომლებმაც ისწავლეს თავიანთ მტრებზე გამარჯვება, სტიქიაზე გამარჯვება, როგორც ლენინ-სტალინის დიადი საქმის ბოლომდე ერთგულ ადამიანთა რესპუბლიკა **(ტაში)**.

თვითონ განსაჯეთ, ამხანაგებო. მთელი რუსეთის სამრეწველო პროდუქცია სსრ კავშირის ახლანდელ საზღვრებში 1914 წელს უდრიდა 1926-27 წლების ფასებში 10,2 მილიარდ მანეთს, ხოლო უკრაინის სს რესპუბლიკის საერთო პროდუქცია 1936 წელს უდრის 15 მილიარდ მანეთს **(ტაში)**. ორი ხუთწლედის შესრულებამ გიგანტურად წასწია წინ ინდუსტრიალიზაციის გზით მთელი სსრ კავშირი, ხოლო მასთან ერთად საბჭოთა უკრაინაც.

საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობას უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეხვდა განმტკიცებული საკოლმეურნეო წყობილებით, მრავალრიცხოვანი ახალი საკოლმეურნეო აქტივით, საუცხოო ტექნიკური შეიარაღებით. მის საკოლმეურნეო მინდვრებზე წელს მუშაობდა 64.120 ტრაქტორი, 15.174 კომბაინი, 15.200 ავტომანქანა. უკრაინაში მოეწყო და მუშაობს 10.500 საკოლმეურნეო ქოხ-ლაბორატორია, რომლებიც ეხმარებიან კოლმეურნე გლეხობას თავისი მინდვრების მოსავლიანობის გადიდებაში.

საბჭოთა უკრაინა — წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის რესპუბლიკა — დაიფარა შვიდწლედებისა და ათწლედების ფართო ქსელით. უკრაინაში არ მოიპოვება არცერთი სასოფლო საბჭო, რომელსაც ათწლედი არ ჰქონდეს. საშუალოდ სასოფლო რაიონზე მოდის 2 ათწლედი და 14 შვიდწლედი **(ტაში)**.

საბჭოთა უკრაინა დაფარულია თეატრების დიდი ქსელით, რომლებიც დედაენაზე უწევენ მომსახურებას უკრაინის მოსახლეობას, თეატრების, რომლებიც ნაციონალურ უმცირესობათა ენაზე მუშაობენ.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ იმით, რომ უკრაინა — სტახანოვური მოძრაობის სამშობლოა, რომ სტახანოვს და დიუკანოვს, კრივონოსს, კანცედალოვს, მაკარ მაზაის, ფედოტ სილჩენკოს, მაღაროელ გრუშკოს, პაშა ანგელინას, მარიამ დემჩენკოს მთელი კავშირი იცნობს, რომ ხრისტია ბაიდიჩი, ანდროშჩუკი, მოტრია პეკელნა, ნატალკა ბალაბაენკო, მარიამ უდოდი, ოლღა ბალიუკი, ევფია ვოზვოდი, მარიამ ძოგუბი, ფრიდელ შპიგელი და ბევრი სხვა ახლა უკვე საკოლმეურნეო მინდვრების ხუთასოსნები კი არა ათასოსნები არიან **(ტაში)**.

ასე გამოიყურება სტალინური კონსტიტუციის მიღების დღისათვის საბჭოთა უკრაინა, დიდი საბჭოთა კავშირის განუყრელი შემადგენელი ნაწილი. საბჭოთა უკრაინა გამოხატავს ჩვენი საუცხოო სამშობლოს — სსრ კავშირის საერთო ზრდას, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის ზრდას, ახალ ადამიანთა ზრდას.

უკრაინელი ხალხი მზად არის იარაღით ხელში დაიცვას თავისი სამშობლო—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი **(მქუხარე ტაში)**.

ფაშისტური ბლოკის გეგმებში განსაკუთრებული ადგილი აქვს მიკუთვნებული საბჭოთა უკრაინას. საბჭოთა კავშირისაგან უკრაინის მოწყვეტა სსრ კავშირის შესუსტების მიზნით, საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია და განადგურება—ასეთია საერთაშორისო ფაშიზმის პროგრამა. გერმანიის ფაშისტები, რომლებიც ოცნებობენ უკრაინაზე, როგორც თავის კოლონიაზე, ურცხვად ლაყბობენ უკრაინისათვის „რაინდული" დახმარების გაწევაზე, რაც შეეხება „მესამე იმპერიის" საჯალათო საქმეების ოსტატთა „რაინდობას", უნდა ითქვას, რომ უკრაინელი ხალხი დიდი წარმოდგენის არ არის მასზე. გერმანელ ფაშისტთა „რაინდობის" შეფასებაში ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ზაპოროჟელების მიერ თურქეთის სულთანის, რაინდობის შეფასებას: „იაკ ტი ე ჩორტა ლიცარ, კოლი ნე მოჟეშ გოლიმ... იჟაკა ვბიტ". მე ვურჩევ გერმანელ ფაშისტებსაც გაეცნონ ამ ფერადოვან დიპლომატიურ დოკუმენტს. **(სიცილი. მოწონების ტაში)**.

რაც შეეხება საბჭოთა უკრაინის მოწყვეტას საბჭოთა კავშირისაგან და თავის კოლონიად უკრაინის გადაქცევის გეგმებს, შეიძლებოდა ამ ყრილობაზე მოგვეყვანა უკრაინაში ფართოდ გავრცელებული ანდაზა: „ნი დოვედიოტსია სვინიამ ნა ნებო დივიტსია, ა გიტლერუ ვ ნაშემუ ოგოროდი რიტსია" **(სიცილი და ტაში)**.

ფაშისტების წინამძღოლებს უნდა ახსოვდეთ, რომ, აღვივებენ რა მსოფლიო ომის ცეცხლს, ისინი შეიძლება პირველნი ჩაიწვნენ ამ ხანძარში.

ყოველგვარ ეჭვსგარეშეა, თუ გერმანელი ფაშისტები გაბედავენ და თავს დაესხმიან საბჭოთა კავშირს, პროლეტარული რევოლუციის არმია, რომელსაც ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის პირველი მარშალი ამხ. ვოროშილოვი **(ტაშის გრიალი, მქუხარე ოვაცია ამხ. ვოროშილოვის პატივსაცემად. ყრილობა ფეხზე დგება, დარბაზში გაისმის ძახილი: „ვაშა — ამხანაგ ვოროშილოვს!", გაუმარჯოს ჩვენს სახკომს ამხანაგ ვოროშილოვს!")**, ისეთ გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემს ფაშისტებს, რომლის მსგავსი ჯერ ისტორიას არ ახსოვს.

უკრაინის ხალხი ერთსულოვნად აძლევს ხმას სტალინური კონსტიტუციის დამტკიცებას, მზად არის რა ყოველ მომენტში იარაღით ხელში დაიცვას თავისი სოციალისტური სამშობლო, იმ მტკიცე რწმენით, რომ ბოლშევიკური პარტიის წინამძღოლობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით კომუნიზმი საბოლოოდ და სამუდამოდ გაიმარჯვებს. **(დარბაზი ოვაციას უმართავს ამხ. ლიუბჩენკოს. გაისმის ძახილი: „გაუმარჯოს საბჭოთა უკრაინას!")**.

ამხ. კ. ა. ბორინის სიტყვა

(აზოვ-შავიზღვის მხარის ორდენოსანი კომბაინერი.)

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ დონისა და ყუბანის ყაზახ ქალებისა და კაცების სახელით გადავცე საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობას ყაზახური სალამი.

მე ვმუშაობ კომბაინ „სტალინეცზე". კომბაინერთა თათბირზე პირობა მივეცი ამხანაგ სტალინს, რომ ავიღებ 1.300 ჰექტ. მოსავალს. **დღეს მე მოვახსენებ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს, რომ ეს დაპირება გადაჭარბებით შევასრულე.** ერთი კომბაინით „სტალინეცით" 1.300 ჰექტ. ნაცვლად ავიღე 2.040 ჰექტ. მოსავალი! **(ტაში)**.

ასე დამკვრელურად იმიტომ ვმუშაობთ, რომ ჩვენ ქვეყნის ბატონ-პატრონი ვართ, იმიტომ, რომ წარმოების ყველა საშუალებანი ჩვენს ხელშია. ჩვენ—საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეებს—არ შეგვიძლია ცუდად ვიმუშაოთ, რადგან ამხანაგ სტალინის წინაშე ვიკისრეთ ვალდებულება ვიმუშაოთ მხოლოდ სტახანოვურად.

ჩვენ კულტურულად და შეძლებულად ვცხოვრობთ. ახალი სტალინური კონსტიტუცია ასახავს ამ ჩვენს წარმატებებს, ჩვენს ახალ ბედნიერ ცხოვრებას. ახალი სტალინური კონსტიტუცია მიმართულია იქითკენ, რომ მომავალში უფრო კარგად ვიცხოვროთ, უფრო კულტურულნი ვიყოთ.

მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუმცა უკვე მოვახდინეთ მტრული კლასების ლიკვიდაცია, კლასობრივი მტრები ჯერ კიდევ დარჩნენ და ცდილობენ ყოველნაირად ავნონ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს. ფაშიზმის მიერ დაქირავებულთა ტროცკისტულ-ზინოვიევური ბანდა ცდილობს დაუბრუნოს ჩვენი ქვეყანა ძველ ცხოვრებას. მათ სურთ მოახდინონ კაპიტალიზმის რესტავრაცია, დაამყარონ მშრომელთა ჩაგვრისა და ექსპლოატაციის რეჟიმი. ეს არ მოხდება! ამას ისინი ვერასოდეს ვერ შესძლებენ!

ჩვენ, დონის და ყუბანის ყაზახები, მჭიდროდ დარაზმულნი ჩვენი საყვარელი პარტიის გარშემო, ჩვენი საყვარელი ამხანაგი სტალინის გარშემო, ყოველ წუთს მზადა ვართ გადავჯდეთ საბრძოლო მანქანებზე, ტანკებზე და თვითმფრინავებზე, ან ცხენებზე და დავცხოთ მტერს, საიდანაც უნდა გამოჩნდეს იგი! **(ტაში)**.

ამხ. ფ. გრიადინსკის სიტყვა

(დასავლეთ-ციმბირის სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე)

სტალინური კონსტიტუცია ახალ უმაღლეს ეტაპს ჰქმნის საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში. ახალი საარჩევნო სისტემა ჩვენს საბჭოთა ორგანოებს კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირებს ამომრჩევლებთან.

ჩვენი საბჭოებისა და აღმასკომების მუშაობაში უნდა შეიქმნას განსაკუთრებული სტალინური კულტურული სტილი, რომელიც ყველაფერში უზრუნველჰყოფს მკაფიო შინაგან ორგანიზაციას და სანიმუშო წესრიგს. უნდა შევძლოთ მუშაობის ისე დაყენება, რომ თვითეული დეპუტატი იყოს მოწინავე ადამიანი, მასების ხელმძღვანელი, ორგანიზატორი სოციალიზმის შემდგომი გამარჯვებებისათვის ბრძოლაში. სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მასების მონაწილეობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს ამომრჩეველთა განაწესი საბჭოებისადმი. განაწესთა შესრულება დეპუტატების უდიდესი მოვალეობაა. ამომრჩეველთა განაწესების ცხოვრებაში გატარებამ ხელი უნდა შეგვიწყოს იმ მხრივ, რომ სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე დავაყენოთ ყველა ჩვენი საბჭოთა ორგანიზაციის მუშაობა.

ამხ. ი. ს. იუსიმის სიტყვა

(კაგანოვიჩის სახ. ქარხნის „შარიკოპოდშიპნიკის" ორდენოსანი ინჟინერი)

ამხანაგებო, ჩვენ შევიკრიბეთ ყრილობაზე, რათა დავამტკიცოთ სტალინური კონსტიტუცია. ჩვენი სიყვარულის, ჩვენი სიხარულის პირველ სიტყვას წარმოადგენს სიტყვა ჩვენი მშობლიური, ბრძენი ამხანაგი სტალინისადმი **(ტაში)**.

რამდენიმე წლის წინათ ქ. მოსკოვის ტაგანსკის რაიონში დიდი ცარიელი მოედანი იყო. ახლა იქ აღმოცენდა მსოფლიოში ერთერთი ყველაზე მძლავრი ქარხანა ბურთოსაკისურებისა, რომელიც სტალინის ერთერთი საუკეთესო თანამებრძოლის ამხ. კაგანოვიჩის სახელს ატარებს.

ჩვენი ქარხნის კოლექტივმა არა თუ აითვისა ნორმები, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულა ისინი. ადამიანებმა, რომლებიც სტალინმა აღზარდა და ჩვენი ქვეყნის ყველაზე ძვირფას კაპიტალად აქცია, მოგვცეს სამი მილიონი ბურთოსაკისური თვეში.

სტალინური კონსტიტუცია ისეთი დოკუმენტია, რომელშიაც თვითეული სიტყვა გაჟღენთილია სტალინური სიყვარულით და ზრუნვით ადამიანზე. უზრუნველყოფილი მოხუცებულობა, ბედნიერი ბავშვობა, სიხარულით აღსავსე სიჭაბუკე, თავისუფალი შემოქმედებითი ცხოვრება—ყოველივე გამოსახულია ახალ კონსტიტუციაში, რომლის შემქმნელია ხალხთა ბელადი ამხანაგი სტალინი **(ტაში)**.

ამხ. მ. ნ. ზუევის სიტყვა

(მაგნიტოგორსკის კომბინატის ორდენოსანი სტახანოველი)

მადლობა ამხანაგ სტალინს, რომ მისი მოთხოვნით აშენდა მაგნიტოგორსკის ქარხანა, რომელიც ახლა ერთერთი პირველი ქარხანაა ჩვენს საბჭოთა კავშირში.

ჩვენ გადავაჭარბეთ საპროექტო სიმძლავრეს — დღეღამეში 500 ტონა ნაგლინის გამოშვებას—და ცვლაში გამოვუშვით 600 ტონა. ამგვარად, ახლა საპროექტო სიმძლავრეს ერთი სამად გადავამეტეთ. ნაგლინის გამოშვებას ცვლაში 700 ტონამდე ავიყვანთ და ერთი-ოთხად გადავამეტებთ საპროექტო ნორმას.

წარმოება მოგვარებულია და უნდა ვეცადოთ გამოვუშვათ მეტი ლითონი, ვინაიდან კაპიტალისტები ომს აპირებენ ჩვენს წინააღმდეგ. მუშებმა იციან, რომ ფაშიზმს მათთვის მოაქვს ნგრევა, დამონება, სიღატაკე და შიმშილი, ხოლო კომუნისტთა პარტიას მოაქვს სიხარული, ძმობა და თავისუფალი ცხოვრება **(ტაში)**.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ მამას, მშობლიურ ამხანაგ სტალინს, რომელმაც ჩვენი ქვეყანა აყვავებამდე მიიყვანა! **(ტაში)**.

ამხ. სმეტანინის სიტყვა

(ლენინგრადის ფაბრიკის „სკოროხოდის" ორდენოსანი სტახანოველი)

ბურჟუაზიული ვაი-კრიტიკოსები ამბობენ, კონსტიტუციის პროექტი, რომელიც ჩვენ გვაქვს, „დაპირებას" წარმოადგენსო.

ჩვენმა ბელადმა და მასწავლებელმა ამხანაგმა სტალინმა გუშინ რკინისებური ლოგიკით სასტიკად გაალამტვერა ეს „კრიტიკოსები" და მკაფიოდ გამოხატა ჩვენი მიღწევანი, რომლებმაც უზრუნველჰყვეს სოციალიზმის სრული გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

აქ, ყრილობის ტრიბუნაზე, მე—მუშა, რომელსაც უფლება მაქვს თავისუფლად და აშკარად გამოვიდე და ხმამაღლა ვილაპარაკო ყოველ კრებაზე, ვაცხადებ, რომ ყველაფერი, რაც კონსტიტუციის პროექტში ჩაწერილია, არის არა დაპირება, არამედ ფაქტი, რომელიც ჩვენ შეუპოვარი ბრძოლითა და შრომით მოვიპოვეთ **(ტაში)**, ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანის ამხანაგი სტალინის მეთაურობით.

ჩვენს წინაშე კიდევ დასმულია დიდი ამოცანები. ფართოდ გაშლილი სტახანოვური მოძრაობა გვეუბნება იმას, რომ ჩვენში არსებობს უფრო მეტად განუსაზღვრელი შესაძლებლობანი, რომ, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი, ბრძენი სტალინის ხელმძღვანელობით, ჩვენი ქვეყანა გავხადოთ უფრო ლამაზ, უფრო მდიდარ ქვეყანად **(მქუხარე ტაში)**.

ამხ. ი. ე. ხრომუშინის სიტყვა

(აზოვ-შავი ზღვის მხარის კოლმეურნეთა და კოლმეურნე-ქალთა დელეგაციის სახელით)

საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობის ამხანაგო დელეგატებო!

პირველი სიტყვა დონისა და ყუბანის ყაზახების სახელით, ადიგეელთა, მთელი აზოვ-შავი ზღვის მხარის სახელით მეძლევა ჩვენს საყვარელ სტალინს **(მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. დარბაზში გრიალებს „ვაშა" გაისმის ძახილი: „გაუმარჯოს საბჭოთა ყაზახობას!")**.

თვითეულმა სტანიცელმა — დონით პატარამდე — იცის, რომ მან, ამხანაგ სტალინს, უნდა უმადლოდეს მთელი მშრომელი ხალხი ჩვენი სამშობლოს უდიდესი მონაპოვარის — სტალინური კონსტიტუციისათვის.

დონსა და ყუბანში უკვე აღარ არიან ატამანთა, ოფიცერთა, კულაკთა ხროვები. ყაზახობამ მტკიცედ იცის, რომ კონსტიტუცია გლეხს, ყაზახს, მუშასთან ათანასწორებს.

უსიხარულო, ბეჩავი იყო ყაზახის ცხოვრება ძველ დროს. რას შეეძლო მისი გახალისიანება. ყაზახის ძველ ხვედრზე ჩვენში გავრცელებული იყო მართალი ანდაზა: „დიდება და სახელი ყაზახისა, ხოლო სიცოცხლე ძაღლისა".

წინათ ყაზახ მუშებს უსისინებდნენ, წინათ ყაზახს ეუბნებოდნენ — მთიელს თუ მოჰკლავ — სამოთხეში მოხვდებიო და სხვანაირად ფიქრის უფლებასაც არ იძლეოდნენ. საბჭოთა ხელისუფლების დროს კოლმეურნეობებში არ არის და არც შეიძლება იყოს წოდებრივი, ნაციონალური შუღლი. აღარ არსებობს სიტყვა „სხვაქალაქელები". დონში, ყუბანში—ყველა პატიოსანი კოლმეურნე, საბჭოთა ყაზახია. და ჩვენი მხარე — საბჭოთა ყაზახობის მხარეა. **(ტაში)**.

მინდვრების სტახანოველთა თათბირებმა კრემლში გააძლიერეს ყაზახობის სულიერი განწყობილება და მუშაობა უფრო სწრაფად წავიდა. წელს ჩვენმა მინდვრებმა მოგვცეს 100 მილიონი ფუთით უფრო მეტი პური, ვიდრე შარშან **(მქუხარე ტაში)**. ჩვენს მიწაწყალზე არასოდეს არ მოსულა ამდენი პური. შარშანდელზე 50 მილიონი ფუთით მეტი პური მიყიდული და ჩაბარებულია სახელმწიფოსათვის. ჩვენ ვამზადებთ და ჩვენს ქვეყანას მივცემთ საუკეთესო საბრძოლო ცხენებს მუშაობისა და თავდაცვისათვის. **(მქუხარე ტაში)**. ჩვენ ვიბრძვით ჩვენს მინდვრებზე სტალინური მოსავლისათვის. ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ უკვე ერთი-ორი წლის შემდეგ გავაორკეცოთ მოსავალი და ჩვენს მხარეში პურეულის აღება ავიყვანოთ 500 მილიონ ფუთამდე. ეს არის ჩვენი წილი სტალინური 7-8 მილიარდი ფუთის ანგარიშში **(მქუხარე ტაში)**.

კანონმა, რომლის მიხედვითაც ყაზახებს მოეხსნათ შეზღუდვები ჩვენს სახელოვან წითელ არმიაში სამსახურის მხრივ, გააძლიერა ყაზახობის მებრძოლი სული. მაგრამ ახლა ჩვენ ვიომებთ არა სხვისი ტყვეობისათვის, როგორც ეს ცარიზმის დროს იყო, არამედ მუშებთან მხარდამხარ, საკუთარი თავისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის, ჩვენი სამშობლოსათვის **(ოვაცია)**. აზოვ-შავი ზღვის კოლმეურნე კავალერისტებმა უკვე წელს აიღეს საკავშირო პირველობა (ცხენის სასპორტო შეჯიბრებაში).

ჩვენი ყაზახის-ქალები აცხადებენ, რომ თუ ყაზახები ფრონტზე წავლენ, ისინი შესცვლიან მათ კომბაინსა და ტრაქტორზე, ხოლო, თუ საჭირო გახდა, თოფით ხელში დაიცავენ თავიანთ ქალაქებს, სტანიცებს, თავიანთ საკოლმეურნეო მიწას **(ტაში)**.

განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობს ახლა ყაზახობა თავისი სამშობლოს დაცვისათვის. მთელი მხარე, თვითეული კოლმეურნეობა, თვითეული კოლმეურნე ცხენით, ხმლითა და საჭურველით ახლა ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის რეზერვია, მეომარი, ცხენოსანთა გმირული პირველი დივიზიის ტრადიციების ერთგული.

სტანიცელებმა დამავალეს გადავცე ყრილობას, რომ დონელები და ყუბანელები გამანადგურებელ წინააღმდეგობას გაუწევენ მთელი მუშათა კლასის და გლეხობის მოსისხლე მტრებს, ჩვენი სამშობლოს მტრებს, ფაშისტებს და მათ აგენტებს—ტროცკისტ გადაგვარებულებს **(ტაში)**.

ამხანაგ სტალინის პირველი მოწოდებისთანავე, საბჭოთა კავშირის პირველი მარშლის ამხ. ვოროშილოვის **(ტაში)** და დონის ყაზახის, მარშლის ამხ. ბუდიონის **(ტაში)** სარდლობით სტანიცელები ყოველ წუთს უკლებლივ გამოვლენ ჩვენი სამშობლოს დასაცავად და ბოლომდე ვურტყამთ მტერს მისსავე მიწაწყალზე.

ყაზახები ზეიმით და სიხარულით ღებულობენ სტალინური კონსტიტუციის ერთგულების ფიცს და აგრეთვე ფიცს სდებენ, რომ მშვიდობიან საკოლმეურნეო შრომასა და ბრძოლებში ისინი იქნებიან თავიანთი დიდი სამშობლოს ღირსეული შვილნი და, თუ საჭირო გახდება, დიხოცებიან, მაგრამ სამშობლოს მტრებს მოსპობენ, რადაც უნდა დაუჯდეთ **(ხანგრძლივი ტაში)**.

საკოლმეურნეო ყაზახობის გზას ამიერიდან ანათებს დიადი სტალინური კონსტიტუციის კაშკაშა შუქი. არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ამ შუქის ჩაქრობა! არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩვენი გადაგდება სტალინური გზიდან!

ჩვენ გავყვებით სტალინს ახალ და ახალ ბრძოლებში, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ **(მთელი დარბაზის მქუხარე ტაში.)**.

გაუმარჯოს ჩვენს სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის და ყველა მშრომელის დიდ ბელადს, საბჭოთა ყაზახობის საუკეთესო მეგობარს ამხანაგ სტალინს! **(მქუხარე ტაში. მთელი დარბაზი ფეხზე დგება და მიესალმება დელეგაციას, გაისმის „ვაშა". ძახილი: „გაუმარჯოს ყაზახობის საუკეთესო მეგობარს ამხანაგ სტალინს". „დიდ სტალინს—ვაშა!" „ამხანაგ სტალინს—ხმამაღალი ყაზახური ვაშა!" ხმა დელეგაციიდან: „ამხანაგო ვოროშილოვ, თუ მტერი თავს დაესხმის ჩვენს სამშობლოს, მხოლოდ ხმა მოგვაწვდინე და ჩვენ ყველანი წავალთ საზღვრებზე და ბოლოს მოვუღებთ მტრებს ჩვენი ხმლით." დარბაზში გრიალებს „ვაშა")**.

მარჯვნიდან მარცხნივ: ამერიკის შეერთ. შტ. კომპარტიის მდივანი ამხ. ერლ ბრაუდერი, ბეწვეულის მუშაკთა წითელი პროფკავშირის ხელმძღვანელი ამხ. ბენ გოლდი და ა. შ. შ. კომპარტიის ნიუ-იორკის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ისრაელ ემტერი მედისონ „სკვერ-გარდენის" მიტინგზე ნიუ-იორკში ა. წ. 22 ოქტომბერს. ამ მიტინგზე მოხდა ხერსტისა და მისი ყვითელი ფაშისტური პრესის საზოგადოებრივი გასამართლება. ფოტო მუშათა ლიგისა („სოიუზფოტო")

საბჭოების საგანგებო VIII ყრილობა

ყრილობის დღიური

26 ნოემბრის საღამოს სხდომა

ყრილობის სხდომა განახლდა საღამოს 6 საათზე. დარბაზში შემოდიან ამხანაგი **სტალინი**, მისი უახლოესი თანამებრძოლნი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელნი. და კვლავ, ისე როგორც წინადღით დარბაზი აღფრთოვანებულ ოვაციას მართავს გრგვინავს, მთელ დარბაზს ედება მქუხარი „ვაშა", გაისმის ძახილი: „გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ დიდ სტალინს!" „გაუმარჯოს ახალი კონსტიტუციის შემოქმედს, გენიალურ სტალინს."

თავმჯდომარე ამხ. კალინინი სიტყვას აძლევს გორკის სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. **ი. მ. კაგანოვიჩს.**

ამხ. კაგანოვიჩი მოუთხრობს ყრილობას ახალ ქარხანა - გიგანტებზე, რომლებიც გორკის მხარეში უკანასკნელი წლების მანძილზე გაჩნდა, სოციალიზმის მშენებელ ადამიანებზე, რომელნიც ლენინ-სტალინის საქმის უსაზღვროდ ერთგულნი არიან. იგი ახასიათებს აგრეთვე საბჭოების ამოცანებს ახალ ეტაპზე, რომელსაც ხსნის სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუცია.

დნეპროპეტროვსკის ოლქის რუბაის სახელობის კოლმეურნეობის ორდენოსანი კოლმეურნე - ქალი ამხ. ტარანენკო დნეპროპეტროვსკის დელეგაციისა და თავისი კოლმეურნეობის სახელით მხურვალე სალამს უძღვნის ამხანაგ სტალინსა და ყრილობას. მას აღტაცებით უკრავენ ტაშს, როცა იგი ამბობს—ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ბნელი და წერა-კითხვის უცოდინარი ქალი ვიყავი, ახლა კი დიად სტალინურ კონსტიტუციას, გაზეთებსა და ჟურნალებს ვკითხულობ. წერა-კითხვის ცოდნამ მას შესაძლებლობა მისცა უკეთ შეესრულებინა კოლმეურნეობის მიერ მინდობილი საქმე. ოთხი წლის განმავლობაში მან 792 ხბო გამოზარდა. ამ თავდადებული შრომისათვის მთავრობამ იგი ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

— მადლობა სტალინს ჩვენი მხიარული, კარგი ცხოვრებისათვის,— ამთავრებს სიტყვას ამხ. ტარანენკო ტაშის გრიალში.

— ყაზახსტანის მოკავშირე რესპუბლიკა, — ესეც სსრ კავშირის ხალხთა ძლევამოსილი გზის ერთ-ერთი შედეგია, — ამბობს ყაზახსტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ისაევი.** — ყაზახსტანი მეფის თვითმპყრობელობის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი კოლონია იყო. ახლა კი ყაზახსტანი, გრანდიოზულ სოციალისტურ გამარჯვებათა საფუძველზე, როგორც ახალი მოკავშირე რესპუბლიკა, შედის სსრ კავშირის ხალხთა დიად ოჯახში.

კუიბიშევის სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **კოლბიცინმა** ყრილობას მოუთხრო მხარის მშრომელთა შესანიშნავ გამარჯვებებისა და მიღწევების ამბავი.

ყრილობა ტაშით ხვდება მოსკოვის საწარმოთა მუშებისა და მუშა-ქალების დელეგაციას, რომელიც დარბაზში აღისფერი დროშებით შემოდის და მოაქვს ამხანაგ სტალინის ფერადოვანი პორტრეტი. დედაქალაქის ქარხნებისა და ფაბრიკების სახელით ყრილობას მხურვალე სალამს უძღვნის ამხ. **დიდკოვი.** მთელი დარბაზი ფეხზე დგება, როცა იგი გამოსთქვამს კონსტიტუციის შემოქმედისადმი — დიდი ბელადისა, ხალხთა მეგობრისა და მამისადმი ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობას. დიდხანს ქუხს ოვაცია, გაისმის „ვაშა" გრიალი და მისალმებათა მხიარული შეძახილები.

ყრილობა დიდი ყურადღებით ისმენს რუსეთის სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. დ. ე. **სულიმოვის** სიტყვას. ამხ. სულიმოვს ძლიერი ტაშით ხვდებიან.

—რუსეთის ფედერაციის ხალხნი ყველა მოძმე რესპუბლიკასთან ერთად, — ამბობს ამხ. სულიმოვი, —ამაყობენ იმ წარმატებებით, რომლებიც ასახული არიან სტალინურ კონსტიტუციის პროექტში. ამხ. სულიმოვი ხაზგასმით აღნიშნავს დიადი რუსი ხალხის — საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში თანასწორთა შორის პირველის — განსაკუთრებულ როლს; იგი ლაპარაკობს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე შედეგებზე — რსფს რესპუბლიკის ხალხნი, — აცხადებს ამხ. სულიმოვი ტაშის გრიალში,—დიდი სიხარულის გრძნობით მიესალმებიან ახალ მოკავშირე რესპუბლიკებს და შემდგომ აყვავებას უსურვებენ მოძმე ხალხებს. ყრილობა დიდი აღფრთოვანებით ხვდება აზოვ-შავიზღვის მხარის კოლმეურნე ყაზახობის დიდ დელეგაციის გამოჩენას დარბაზში.

ტრიბუნაზე ადის და თავის მისასალმებელ სიტყვას იწყებს კოლმეურნეობა „დონსკოი სკაკუნის" თავმჯდომარე—დონის ყაზახი ამხ. **ხრომუშინი.**

პირველ სიტყვას დონისა და ყუბანის ყაზახთა სახელით, აგრეთვე, მთელი აზოვ-შავიზღვის მხარის სახელით ჩვენ მივმართავთ ჩვენს მშობლიურ სტალინს! — ამბობს ამხ. ხრომუშინი.

ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში დიდ ხანს ქუხს ოვაცია და გრიალებს აღტაცებული „ვაშა" საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის — ამხანაგ სტალინის მისამართით.

ამხ. ხრომუშინის მკაფიო, სხარტი სიტყვა, — კოლმეურნე ყაზახობის უდიდეს წარმატებათა გამაშუქებელი მრავალი მაგალითით, მიძღვნილია შეძლებული, კულტურული და სიხარულით ცხოვრებისადმი, რომლითაც ამჟამად ცხოვრობენ დონისა და ყუბანის სტანიცები. ამხ. ხრომუშინი არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით, ტაშის გრიალში, ლაპარაკობს საბჭოთა ყაზახების მზადყოფნაზე — გულმხურვალედ დაიცვან ყოველგვარი მტრისაგან თავისი დიადი სოციალისტური სამშობლო. — ყაზახები საზეიმოდ ფიცს სდებენ სტალინური კონსტიტუციისადმი ერთგულებაზე. კოლმეურნე ყაზახების გზა ამიერიდან გაცისკროვნებულია სტალინური კონსტიტუციის კაშკაშა შუქით. ჩვენ ვფიცავთ ამხანაგ სტალინს ახალ ბრძოლებში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის!

ყველანი, ერთიანი გრძნობით გამსჭვალულნი, ფეხზე დგებიან. გრიალებს მისალმებათა ძახილი: „გაუმარჯოს ამხანაგ **სტალინს**". „ყაზახური „ვაშა" ამხანაგ **სტალინს!**" „გაუმარჯოს საბჭოთა კოლმეურნე ყაზახობას!"

როგორც კი ოვაცია ცხრება, აზოვ-შავიზღვის მხარის კოლმეურნე ყაზახობის დელეგატები მწყობრი ნაბიჯით გადიან დარბაზიდან. 9 საათსა და 15 წუთზე თავმჯდომარე ამხ. მ. ი. კალინინი ყრილობის საღამოს სხდომას დახურულად აცხადებს.

27 ნოემბრის დილის სხდომა

საათის ისარი ციფრ „11"-ს უახლოვდება. ცხრება დელეგატთა გაცხოველებული საუბარი. პრეზიდიუმის მაგიდასთან არიან ამხანაგები კალინინი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, ანდრეევი, მიქოიანი, ჩუბარი, კოსიორი რუდზუტაკი, პეტროვსკი, ლიტვინოვი, სულიმოვი, ჩერვიაკოვი, აკულოვი, ხრუშჩოვი, ბუდიონი.

ამხ. მ. ი. კალინინი სიტყვას აძლევს უზბეკთა სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ფაიზულა **ხოჯაევს.** მისი სიტყვა, მრავალი მკაფიო მაგალითით ილუსტრირებული, ნათლად გვიჩვენებს თუ როგორ გადაიქცა რუსეთის ცარიზმის ყოფილი კოლონია, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების შედეგად, აყვავებულ საბჭოთა რესპუბლიკად.

ფოლადის გამოდნობის დარგში მძიმე ინდუსტრიის ბრწყინვალე შედეგებისადმი იყო მიძღვნილი მარიუპოლის ილიჩის სახელობის ქარხნის წარჩინებული მეფოლადის ამხ. **მაკარ მაზაის** გამოსვლა.

— გერმანიისა და სხვა ქვეყნების ფაშისტები, — ამბობს ამხ. მაზაი, — ამზადებენ თავდასხმას საბჭოთა კავშირზე. ფაშისტები ჩვენი ფოლადით უნდა წავლეკოთ.

— ცხელი ფოლადით — გაისმის ხმა დარბაზიდან.

— სწორედ, ცხელით, — ეხმაურება ამას ტაშის გრიალში ამხ მაზაი.

მოსკოვის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ფილატოვი** თავის სიტყვაში ლაპარაკობს ორდენოსანი მოსკოვის ოლქის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შესანიშნავ აყვავებაზე.

ყრილობა გულმხურვალედ ხვდება მოსკოვის სკოლების მასწავლებელთა დელეგაციის გამოჩენას.

— სტალინურმა კონსტიტუციამ, — ამბობს დელეგაციის სახელით ამხ. **ახტახოვა,** — მთელი მსოფლიო აამოძრავა. მშრომელთათვის გაისმა, როგორც განთავისუფლებისაკენ მოწოდების ყივილი, ხოლო ყველა მტრისათვის — როგორც სასიკვდილო განაჩენი.

მღელვარებით ლაპარაკობს იგი პედაგოგიური შრომის სიხარულზე ჩვენს ქვეყანაში, საუცხოო საბჭოთა ბავშვებზე, და სიტყვას აძლევს ყრილობას, რომ საკმარისია პარტიის ერთი სიტყვა, მშობლიური სტალინის ერთი სიტყვა — და თვითეული მასწავლებელი ხალისით შესწირავს თავის სიცოცხლეს კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ტრიბუნაზეა ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გოლოდედი.** მის სიტყვაში, რომელსაც არაერთხელ აწყვეტინებენ ტაშით, მკაფიოდ არის ასახული უდიდესი გამარჯვებანი საბჭოთა ბელორუსიისა, რომლის ხალხნი, შემჭიდროებულნი ბოლშევიკური პარტიის გარშემო, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის - ამხანაგ სტალინის გარშემო, სიხარულით აშენებენ ბედნიერ ცხოვრებას, ფხიზლად იცავენ საბჭოთა კავშირის — თავისი დიადი დედა-სამშობლოს — დასავლეთის საზღვრებს.

ქ. კალინინის მოხუცი ფეიქარი ქალის ამხ. **შაველიოვას** უბრალო, ნათელ, გულის სიღრმიდან ამომხდარ სიტყვებში გაისმის უსაზღვრო ერთგულება ახალი კონსტიტუციის გენიალური შემოქმედისადმი.

ლენინგრადის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **გრიმანოვი** ლაპარაკობს ლენინის ქალაქის მშრომელთა შესანიშნავ გამარჯვებებზე.

შემდეგ გამოდის დასავლეთ ციმბირის მხარის კოლმეურნე ქალი — [illegible] ამხ. **კუნგუროვა.** საბჭოების სრულიად-საკავშირო ყრილობის ტრიბუნიდან მას სურს ხმამაღლა შესძახოს ესპანეთის ქალებს:

— ბოლომდის ებრძოლეთ ფაშიზმს, და თქვენ ისეთსავე მშვიდობიან, მხიარულ სასიხარულო ცხოვრებას მიაღწევთ, როგორიც ჩვენ უკვე მოვიპოვეთ.

ყრილობა განსაკუთრებული ყურადღებით ისმენს შორეულ-აღმოსავლეთის სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. **კრუტოვის** სიტყვას.

სოციალიზმის ქვეყნის მოწინავე სიმაგრე წყნარ ოკეანეზე — შორეული აღმოსავლეთი აყვავებულ ინდუსტრიულ მხარედ ხდება. ყრილობის დელეგატები ტაშს უკრავენ შორეულ აღმოსავლეთის მუშაკთა გამარჯვებებს. ეს ტაში ოვაციაში გადადის, როცა ამხ. კრუტოვი აცხადებს, რომ შორეული აღმოსავლეთის საზღვრები, ჯავშანსა და ფოლადში ჩაჭედილნი, მიუწვდომელია მტრისათვის, რომ მათ იცავს შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმია თავისი სახელოვანი მარშლის ამხ. ბლიუხერის მეთაურობით. მთელი ყრილობა ტაშით მიესალმება არმიის მებრძოლ მარშალს, რომელიც ამ დროს პრეზიდიუმშია.

დარბაზში შემოდის ლენინგრადის ოლქის მშრომელთა დელეგაცია, რომელიც მოსულა, რათა ყრილობას მიესალმოს.

ლენინგრადის ოლქის მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის სახელით ყრილობას და ხალხთა ბელადს, ახალი კონსტიტუციის გენიალურ შემოქმედს —ამხანაგ სტალინს მიესალმება ამხ. **ხოროხოვატკინ** (კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილა").

ლენინგრადის ოლქის მშრომელ ქალთა სახელით მხურვალე სიტყვას ამბობს ამხ. **კულაგინა.**

უცხოეთის პრესის გამოხმაურება ამხანაგ სტალინის მოხსენებაზე

ესპანეთი

(ტელეფონით „პრავდის" საკ. კორესპონდენტისაგან).

მადრიდი, 26 ნოემბერი (საქდესი). დღეს საღამოს ყველა გაზეთი თვალსაჩინო ადგილას ათავსებს დეპეშებს სსრ კავშირის საბჭოების საგანგებო VIII ყრილობის გახსნისა და ამხანაგ სტალინის მოხსენების შესახებ. ყველა გაზეთი გულთბილი გამოთქმებით მიესალმება ყრილობას, მოძმე საბჭოთა დემოკრატიას და მის ბელადს ამხანაგ სტალინს.

„მუნდო ობრერო" სწერს:

„ჩვენ მოვუწოდებთ ესპანეთის ხალხს გაიზიაროს სიხარული მოძმე საბჭოთა კავშირისა, რომლისაგანაც მეგობრობისა და სოლიდარობის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთები მივიღეთ. ჩვენ მოგიწოდებთ ყურადღებითა და ენტუზიაზმით შეისწავლოთ საბჭოების ყრილობის გადაწყვეტილებანი და გაიზიაროთ საბჭოთა კავშირის ბედნიერ ხალხთა სიხარული.

შეიარაღებული ესპანელი ხალხი, რომელიც იბრძვის, რათა ფაშიზმი გაანადგუროს, რომელიც სისხლსა ღვრის დემოკრატიის, თავისუფლებისა და კულტურის საქმისათვის, აღელვებით ადევნებს თვალყურს იმ გრანდიოზულ სანახაობას, თუ როგორ შექმნა საბჭოთა ხალხმა ძველის ნანგრევებზე საბჭოთა სახელმწიფო აყვავებული წალკოტი მას შემდეგ, რაც გაანადგურა თავისი მტრები და მოსპო ექსპლოატატორთა და პარაზიტთა კლასები. ლენინ-სტალინის სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი ძლევამოსილად აშენებს სოციალიზმს. ახალი კონსტიტუცია ამყარებს ნამდვილ დემოკრატიას, საბჭოთა დემოკრატიას, რომელიც უზრუნველჰყოფს საბჭოთა კავშირში მოსახლე ათეულ მილიონობით თავისუფალ ადამიანთა ბედნიერებას.

ესპანეთის ხალხი ცალი ხელით [illegible] სწევს შაშხანას, მეორე ხელით კი მიესალმება საბჭოთა ხალხს და ბელადს ამხანაგ სტალინს და საქვეყნოდ იძლევა პირობას იბრძოლოს გამარჯვებამდე, რათა გახდეს იმ ნდობის, მეგობრობისა და სოლიდარობის ღირსი, რასაც იჩენს მისადმი „კეთილშობილი და დიდსულოვანი საბჭოთა კავშირი".

მიხ. კოლცოვი.

საფრანგეთი

პარიზი, 26 ნოემბერი (საქდესი). „ტანის" მოსკოველი კორესპონდენტის ვრცელ ცნობაში მოჰყავს შინაარსი ამხანაგ სტალინის მოხსენებისა საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობაზე საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ. ამასთან ხაზგასმით აღნიშნავს იმ განსაკუთრებულ აღფრთოვანებულ შეხვედრას, რომელიც ყრილობამ ამხანაგ სტალინს გაუმართა.

„ენტრანსიჟანის" მოსკოველი კორესპონდენტი თავის ცნობაში სწერს:

„ამიერიდან საბჭოთა კავშირს ექნება ახალი კონსტიტუცია. ტაშის გრიალი, რომელმაც სტალინის მოხსენების საბოლოო სიტყვები დაფარა, ყოველგვარ კონვენციაზე უკეთ მოწმობს ყრილობის დელეგატთა ერთსულოვნებას და მათ რწმენას ახალი რუსეთის ხელმძღვანელისადმი".

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ყრილობის დელეგატებმა — „საბჭოთა კავშირის ხალხთა მუშებმა, გლეხებმა, წითელარმიელებმა ერთხელ კიდევ გამოუცხადეს თავიანთი ნდობა საბჭოთა მთავრობას და თავიანთი პატივისცემა სსრ კავშირის ხალხთა ბელადს".

პარიზი, 26 ნოემბერი (საქდესი). სიღვიანის გამო ფრანგული გაზეთების უმრავლესობა: „ეკო დე პარი", „ერ ნუველ", „ვიქტუარი", „პოპულერი", „ლუმანიტე" და სხვები გარკვეულობით გადმოსცემენ მხოლოდ მოკლე ანგარიშებს საბჭოების სრულიად - საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობის გახსნის შესახებ. ყველა გაზეთი აღნიშნავს იმ გრანდიოზულ ოვაციას, რომლითაც ყრილობის დელეგატები შეხვდნენ ამხანაგ სტალინს. ზოგიერთმა გაზეთმა მოათავსა ამხანაგ სტალინის მოხსენების მოკლე შინაარსის მიცემა.

პოლონეთი

ვარშავა, 26 ნოემბერი (საქდესი). პოლ ნეთის დილის გაზეთები ათავსებენ მოკლე ცნობას ამხანაგ სტალინის მიერ საბჭოების საკავშირო ყრილობაზე სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 26 ნოემბერი (საქდესი). იმის გამო, რომ გვიან აქ მიღებული ცნობა საბჭოების საგანგებო ყრილობის გახსნისა და ამხანაგ სტალინის მოხსენების შესახებ, პრაღის დღევანდელმა გაზეთებმა მოათავსეს მხოლოდ მოკლე ცნობები უკომენტარიებოდ.

ბელგია

ბრიუსელი, 26 ნოემბერი (საქდესი). ბელგიის მთელმა პრესამ დღეს გამოაქვეყნა მოკლე ცნობა საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობის გახსნისა და ამხანაგ სტალინის მოხსენების შესახებ.

ბელგიის კომპარტიის ორგანო „ვუა დიუ პეპლ" მხურვალედ მიესალმება საბჭოების მე-8 ყრილობას და პროლეტარიატის ბელადს ამხანაგ სტალინს. გაზეთი აღნიშნავს, რომ ახალი კონსტიტუცია დაამკვიდრებს ნამდვილ დემოკრატიას, რომელიც სსრ კავშირში არსებობს და გახდება აყვავებისა და ბედნიერი ცხოვრების ახალი წყარო ყველასათვის.

ავსტრია

ვენა, 26 ნოემბერი (საქდესი). ავსტრიის ყველა გაზეთი უკომენტარიოდ ათავსებს ცნობას საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობის გახსნისა და ამხანაგ სტალინის მოხსენების შესახებ.

საბერძნეთი

ათინა, 26 ნოემბერი (საქდესი) საბერძნეთის ყველა გაზეთი აქვეყნებს ცნობას ამხანაგ სტალინის მიერ საბჭოების საგანგებო VIII ყრილობაზე გაკეთებული მოხსენების შესახებ. ამასთან გაზეთები დუმილით უვლიან გვერდს ამხანაგ სტალინის მოხსენების ძირითად საკითხებს. გაზეთების უმრავლესობა ჩერდება იმ პასუხებზე, რომელიც ამხანაგმა სტალინმა გასცა საბჭოთა ახალი კონსტიტუციის პროექტის გერმანელ ფაშისტ კრიტიკოსებს.

გაზეთები აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავენ ამხანაგ სტალინის სიტყვებს, რომ „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია მორალური საყრდენი და რეალური ხელშეწყობა იქნება ყველა იმათთვის, ვინც ახლა ბრძოლას აწარმოებს ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ".

მოსკოვი

(ტელეფონით „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან).

მოსკოვის რადიოსადგურებმა გადასცეს ამხ. სტალინის მოხსენება საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე.

მოხსენების მოსმენამ ორ საათამდე გასტანა. მოსკოველები გუშინ მოუთმენლად ელოდნენ გაზეთების გამოსვლას. ქუჩებში კიოსკების წინ დიდი რიგები იყო. ასეთივე რიგები იყო დღესაც, 27 ნოემბერს. ყველა გაზეთები სწრაფად იყიდებოდნენ და დილის 1 საათისათვის დილის გაზეთების ერთი ცალის შოვნაც აღარ შეიძლებოდა. ნახევარ საათში დაიტაცეს „ვეჩერნია მოსკვა", რომელმაც მოაწოდა 26 ნოემბრის დილის სხდომის ანგარიშის მოთავსება.

დღეს და გუშინ მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებსა და კლუბებში სწარმოებდა ამხანაგ სტალინის მოხსენების კითხვა. ამ კოლექტიურმა კითხვამ მიიზიდა მსმენელთა მასები, მიუხედავად იმისა, რომ ყველანი ისმენდნენ მოხსენებას წინადღითაც, როცა სწარმოებდა ამხანაგ სტალინის სიტყვის ტრანსლაცია კრემლის დარბაზიდან.

ქარხნებსა და სკოლებში, პარტიული განათლების ყველა წრეში გუშინდელიდან მიმდინარეობდა განხილვა ამხანაგ სტალინის მოხსენებისა საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ. მუშათა კლუბებში მოეწყო გამოფენები დიაგრამებითა და ფოტოგრაფიებით.

იშვიათი აღმავლობით ჩაიარა მოსკოვის კრებებმა ფაბრიკა-ქარხნებში დილისა და საღამოს ცვლებში.

საღამოს ყველა სკოლაში დაიწყო მოხსენების შესწავლა. პარტიული განათლების წრეების მეცადინეობაზე ბევრი უპარტიო მუშა მივიდა. მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკები ყველა კრებებზე კმაყოფილებით აღნიშნავდნენ ამხანაგ სტალინის აზრს საკავშირო მრეწველობის სახალხო კომისარიატის შექმნის დროულობის შესახებ. მოსკოვის მუშები ერთსულოვნად აღნიშნავდნენ ამ ღონისძიებათა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ურყეობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

17 ნოემბერს მოსკოვში მყოფმა ესპანეთის დელეგატებმა დაათვალიერეს ქარხანა „სერპ ი მოლოტი" სურათზე: ესპანეთის დელეგატები ქარხანა „სერპ ი მოლოტის" ხელმძღვანელთა შორის. პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): ქარხნის სამმართველოს პარტორგი ამხ. გრანიკა, რომერო სოლანო, ქარხნის დირექტორი ამხ. სტეპანოვი, პაბლო ფერნანდესი, მეტალურგთა ც. კ-ის თავმჯდომარე ამხ. კასიმოვი, დიეგო მარტინესი — ფრანსისკო მოლინა. მეორე რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: ამხ. პიგუზოვი, რამონ მენიოსი, ამხ. სტეპანოვა, ემილიანო პასკუალი, ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. ბუზნოვი და ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. სოშოვი.

ფოტო ფავილოვისა („სოიუზფოტო")

მთავრობის თვითმფრინავების მიერ ტალავერის გააფთრებული ბომბარდირება

ლონდონი, 26 ნოემბერი (საქდესი). ესპანეთის სამხედრო სამინისტროს გუშინდელ საღამოს ცნობაში ნათქვამია, რომ მდინარე მანსანარესის რაიონში მეამბოხენი განაგრძობდნენ იერიშებს მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. მაგრამ ყველგან უკუქცეულ იქნენ. მეამბოხეთა თვითმფრინავებმა თავდასხმა მოახდინეს მადრიდზე, მაგრამ მტერი განდევნეს. გაქცევის დროს მისმა თვითმფრინავებმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს თავის საკუთარ პოზიციებზე. მთავრობის ჯარებმა ჩამოაგდეს მტრის ერთი სამმოტორიანი თვითმფრინავი.

„დეილი ტელეგრაფის" მადრიდელი კორესპონდენტის სიტყვით, მეამბოხეთა თვითმფრინავებმა გუშინ მადრიდში ჩამოყარეს ფურცლები, რომელშიაც იმუქრებიან, დედაქალაქს დავწვავთ, თუ მადრიდი რამდენიმე საათის განმავლობაში არ დაგვყრის იარაღსო. ამ მუქარის შემდეგ მთავრობის ჯარებმა მოიგერიეს მეამბოხეთა იერიში საუნივერსიტეტო უბანში და უეცრად შეტევაზე გადავიდნენ ტალავერაზე, რომელიც მადრიდის სამხრეთ - დასავლეთით 112 კილომეტრის მანძილზეა.

მეამბოხეთა იერიში საუნივერსიტეტო უბანში იყო ერთ-ერთი ყველაზე გააფთრებული იერიში. მეამბოხენი უტევდნენ საარტილერიო მომზადების შემდეგ 14 ტანკის დახმარებით. მთავრობის ჯარებმა ტაქტიკურად უკან დაიხიეს, შემდეგ კი მოულოდნელად სროლა აუტეხეს მეამბოხეებს და ენერგიული მოქმედებით აიძულეს უკან დაეხიათ. მთავრობის წყაროებიდან მიღებული ცნობებით მეამბოხეებს მოუკლეს 400-600 კაცი.

შეტევა ტალავერაზე მეამბოხეებისათვის მოულოდნელი იყო. 2 ათასი კაცისაგან შემდგარი რესპუბლიკელთა ნაწილების მოქმედებას ხელს უწყობდა არტილერია, რომელიც ქალაქს ყუმბარებს უშენდა ერთი საათის განმავლობაში, აგრეთვე ყუმბარებს უშენდა აეროდრომს; დააზიანეს ორი თვითმფრინავი. ეს იყო ყველაზე გააფთრებული საჰაერო ბომბარდირება საომარ მოქმედებათა მთელი დროის განმავლობაში. მთავრობის ჯარები სარგებლობდნენ კარგი საფარით.

◇ ◇ ◇

„თქვენს იტალიელ ძმებს მუშებს არ სურთ თქვენი დახოცვა"

ლონდონი, 26 ნოემბერი. (საქდესი). როგორც „ნიუს ქრონიკლი" ესპანეთიდან გადმოგვცემს, ესპანელი მთავრობის ექსპერტებმა გამოიკვლიეს მეამბოხეების მიერ მადრიდში ჩამოგდებული ყუმბარა, რომელიც არ გასკდა, გამოირკვა, რომ ყუმბარა ფეთქებად ნივთიერებათა ნაცვლად გატენილი იყო ქვიშით. ქვიშაში იპოვნეს წერილი, რომელშიც იტალიურად ეწერა: „თქვენს იტალიელ ძმებს მუშებს არ სურთ თქვენი დახოცვა".

„ასე ძლიერ არასოდეს არ გვიგრძვნია თავი ესპანელებად"

ვალენსია, 26 ნოემბერი (საქდესი). როგორც ფაბრის სააგენტო გადმოგვცემს, ვალენსიაში ჩამოვიდნენ ესპანეთის გამოჩენილი მეცნიერები და მწერლები, რომლებიც ევაკუირებული არიან მადრიდიდან მთავრობის მოწყალებით. მათ გამოაქვეყნეს შემდეგი მიმართვა:

„ჩვენ ...აკადემიკოსებს, პროფესორებს, [illegible] და მეცნიერებს ასე ღრმად არასოდეს არ გვიგრძვნია ჩვენი კავშირი ჩვენს სამშობლოსთან, ასე ძლიერ არასოდეს არ ვგრძნობდით თავს ესპანელებად, როგორც ამ მომენტში, როცა მადრიდელებმა, რომლებიც ესპანეთის თავისუფლებას იცავენ, დაგვაჯერეს დაგვეტოვებინა მადრიდი, რათა განგვეგრძო მუშაობა, რათა გვერიდებინეთ ბომბარდირებას, რომელსაც დედაქალაქის სამოქალაქო მოსახლეობა განიცდის. ასე ძლიერ არასოდეს არ გვიგრძვნია თავი ესპანელებად, როგორც მაშინ, როცა დავინახეთ თუ სახალხო მილიციის რაზმელები როგორ სწირავდნენ სიცოცხლეს ესპანეთის საკეთილდღეოდ, რათა დაეცვათ ხელოვნებისა და მეცნიერების საგანძურები, გადაერჩინათ ჩვენი ბიბლიოთეკების წიგნები და ჩვენი ლაბორატორიების მასალები ხანძრის გამომწვევი ყუმბარებისაგან, რომლებსაც უცხოეთის თვითმფრინავები ჩვენს კულტურულ დაწესებულებებს უშენდნენ. ჩვენ, როგორც ადამიანებს, როგორც მეცნიერებსა და როგორც ესპანელებს, გვინდა ჩვენი კმაყოფილება გამოვთქვათ მთელი მსოფლიოს წინაშე, მთელი ცივილიზებული კაცობრიობის წინაშე".

◇ ◇ ◇

კამათი ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკის საკითხზე

პარიზი, 26 ნოემბერი (საქდესი). გუშინ საგარეო საქმეთა საპარლამენტო კომისიაში გაიმართა კამათი ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკის საკითხის შესახებ. პერის კომპარტიის სახელით აღინიშნა, რომ ჩაურევლობის პოლიტიკამ მარცხი განიცადაო, მან შეიტანა რეზოლუცია, რომელიც წინადადებას აძლევს მთავრობას გადასინჯოს ეს პოლიტიკა. კომისიამ 29 ხმით წინააღმდეგ ხუთისა უარჰყო კომუნისტების წინადადება და მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია:

„კომისია, რომელსაც სამართლიანად აწუხებს ესპანეთის კონფლიქტის გაფართოების საფრთხე და რომელიც იწრაფვის მშვიდობიანობის შესანარჩუნებელ მეთოდთა გამორკვევისაკენ, სთხოვს მთავრობას სასწრაფოდ წარმოუდგინოს განსახილველად მოხსენება ამ საკითხის შესახებ".

◇

გებელსის ანტისაბჭოთა გამოსვლა

ბერლინი, 26 ნოემბერი (საქდესი). გუშინ მთავრობის სახელით რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა პროპაგანდის მინისტრმა გებელსმა, რომელმაც განმარტა გერმანია-იაპონიის შეთანხმება. გებელსის სიტყვას არ მოუცია რაიმე მნიშვნელოვანი ახალი მომენტი; იგი „შეიცავდა ჩვეულებრივ გალანძღვას კომუნიზმის წინააღმდეგ. ფაშისტური ოფიციოზი „ფელკიშერ ბეობახტერი" გებელსის სიტყვას ამომწურავი სიცხადით უდგენს სათაურს: „გერმანიის მთავრობის განცხადება მოსკოვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ".

გაზეთები ვერ მალავენ იმას, რომ ამ შეთანხმებამ დიდი უკმაყოფილება და შეშფოთება გამოიწვია მთელს მსოფლიოში.

შეკითხვა იდენს თემთა პალატაში

ლონდონი, 25 ნოემბერი (საქდესი). თემთა პალატაში დასმული იყო კითხვა, ინგლისის გემების მიერ ესპანეთში საომარი მასალის გადაზიდვის აკრძალვა ვრცელდება თუ არა სურსათისა და ნახშირის გადაზიდვაზე. საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა უარყოფითი პასუხი გასცა.

◇

ხორტის საუბარი მუსოლინისთან

რომი, 26 ნოემბერი (საქდესი). რომში ჩამოსულ უნგრეთის რეგენტს ხორტის საუბარი ჰქონდა მუსოლინისთან იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიანოს თანდასწრებით.

მეამბოხეებს დიდი ზარალი მოუვიდათ

(ტელეფონით „პრავდის" საკუთ. კორესპონდენტისაგან)

მადრიდი., 26 ნოემბერი (საქდესი). დღეს ფაშისტები არ იჩენდნენ აქტივობას მადრიდის ხაზზე. ეს პირველი შემთხვევაა მრავალი დღის განმავლობაში. როგორც სჩანს, გავლენა მოახდინა დიდმა ზარალმა, რომელიც რესპუბლიკელებმა მიაყენეს მათ ღამით კონტრიერიშების დროს.

კიდევ მეტი, რესპუბლიკური ნაწილები ენერგიულ შეტევაზე გადავიდნენ მადრიდის მიდამოებში.

არც ფაშისტების ავიაცია გამოჩენილა დღეს. როგორც სჩანს, ეს გუშინდელი საჰაერო ბრძოლის და რესპუბლიკელი მფრინავების მიერ ტალავერის აეროდრომის ბომბარდირების შედეგია.

სხვათა შორის, საერთაშორისო პოლიტიკის მადრიდელი მცოდნეები ირწმუნებიან, რომ გერმანიის და იტალიის ყუმბარმშენები აღარ იფრენენ მადრიდის თავზე, სანამ მადრიდში იქნება ბრიტანეთის პარლამენტის დელეგაცია. თუ ეს ასეა — უნდა ვუსურვოთ წარჩინებულ უცხოელებს, რაც შეიძლება მეტ ხანს დარჩნენ მადრიდში.

◇

ინგლისის პარლამენტის დელეგაცია მადრიდში

ლონდონი, 26 ნოემბერი (საქდესი). გუშინ დილით მადრიდში ჩავიდა დელეგაცია ინგლისის პარლამენტის 6 წევრის შემადგენლობით. ინგლისის პარლამენტის წევრები მოწმენი იყვნენ ფაშისტური ავიაციის თავდასხმისა მადრიდზე, აგრეთვე ინახულეს ჰოსპიტალი, სადაც მოთავსებული არიან საჰაერო თავდასხმების დროს დაჭრილნი.

„ხალხის გმირული წინააღმდეგობით გაცოფებული გენერლები ბავშვებს ეომებიან. „ტანი" და მთელი ბურჟუაზიული პრესა, რომელიც ფრანკოს მოქმედებას ამართლებს, ცხადია, არასოდეს არ გამოაქვეყნებს ამ დაღუპული ბავშვთა სურათებს. მაგრამ ნუთუ გაბედავენ „ნეიტრალიტეტის" მომხრენი შეხედონ „გერმანული და იტალიური ყუმბარების ამ მსხვერპლთ ისე, რომ თავი დამნაშავედ არ იგრძნონ?"

„ლუმანიტე" (საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური ორგანო), 11 ნოემბერი.

ელექტროენერგიის ეკონომია

ინჟ. გ. ა. სისუაიანი

ელექტროენერგიის გაზრდილი მოთხოვნილება ელექტროსადგურებს და მომხმარებელთ ავალებს დაზოგონ ენერგიის ყოველი კილოვატსაათი და ეკონომიით ხარჯონ, მაგრამ თვით ელექტროსადგურებიც და მომხმარებლებიც ელექტროენერგიის ფლანგვისადმი საოცარ გულგრილობას იჩენენ.

საქართველოს და სომხეთის პირობებში ამ საკითხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სწორედ ზამთრის თვეებში, ჩვენი მდინარეების წყალნაკლებობის დროს, მატულობს ელექტროენერგიის მოხმარება.

ივლისში „პრავდამ" აღძრა საკითხი ელექტროენერგიის ფლანგვასთან ბრძოლისა და ელექტრომეურნეობის მოწესრიგების შესახებ.

ჩვენშიც დაიწყო ბრძოლა ელექტროენერგიის ეკონომიური ხარჯვისათვის და ამ მხრივ უკვე გვაქვს ერთგვარი მიღწევა.

მართლაც, უკანასკნელ თვეებში ჩვენს ჰიდროსადგურებში მთელი რიგი ღონისძიებანი იხმარეს, რომელთა წყალობითაც მოხერხდა სადგურების საკუთარ დანადგართა და ქსელის ექსპლოატაციის გაუმჯობესება და ენერგიის ხარჯის შემცირება საკუთარი საჭიროებისათვის.

ეს, რასაკვირველია, ყველაფერი არ არის. ძირითადად რაციონალიზაციისა და ენერგიის ეკონომიისთვის მუშაობა ჩვენს სადგურებზე ჯერ წინ არის.

სწორედ ამ დარგში არა გვაქვს საქმე მოგვარებული. პრესაში არაერთხელ მოუყვანიათ ცალკეულ საწარმოთა ენერგიის მეურნეობის ქაოტიური მდგომარეობის ფაქტები.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და თბილისის კომიტეტის მითითებით „ზაკენერგოს" და „ტელასის" ელექტრომეთვალყურეობის განყოფილებებმა აგვისტოსა და სექტემბერში გამოიკვლიეს მთელ რიგ სამრეწველო საწარმოთა ელექტრომეურნეობა. შედეგები ფრიად არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. საწარმოთა დიდ უმრავლესობას არ მოეპოვება დანადგართა ელემენტარული სქემები, მოტორები სიმძლავრის მიხედვით უმართებულოდ არის შერჩეული, საგეგმო—გამაფრთხილებელი რემონტი არ არის, მომსახურე პერსონალს არა აქვს საკმაო კვალიფიკაცია და სხვა.

განსაკუთრებით მოუგვარებელია განათების საქმე. განათების წერტილები საკმარისად არის, მაგრამ სანათებს სათანადოდ არ უვლიან, რის გამო ენერგია იხარჯება, მუშას კი საკმაო შუქი არა აქვს დაზგასთან.

ელექტროენერგიის ეკონომიის საკითხი იმდენად აქტუალურია, რომ სსრკ-ს სახკომსაბჭომ ა.-წ. 13 ოქტომბერს ამის შესახებ სპეციალური დადგენილება გამოიტანა.

ეს უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობის დოკუმენტია. იგი სამრეწველო საწარმოებს ავალებს შეამცირონ ენერგიის ხარჯი პროდუქციის ერთეულზე 10 პროც. მაინც, შეამცირონ ენერგიის ხარჯი განათებისათვის 15 პროც. მაინც, ენერგიის საკუთარი საჭიროებისათვის ხარჯვა ჩამოიყვანონ სადგურის მიერ გაცემული ენერგიის 6 პროცენტამდე, ხოლო დანაკარგი ქსელში—8,4 პროცენტამდე.

ამის პარალელურად დანადგართა სიმძლავრის კოეფიციენტი დაყვანილი უნდა იქნას 0,85-მდე.

ამ ამოცანების შესრულება, რომელნიც სსრკ-ს სახკომსაბჭომ დაგვისახა მოითხოვს როგორც საწარმოების ხელმძღვანელთა, ისე ელექტროსადგურთა და ენერგეტიკოს—მუშაკთა დაძაბულ მუშაობას.

მთავრობის დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად „ზაკენერგომ" უკვე გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი თავისი სისტემისათვის და შეუდგა მათ განხორციელებას.

საჭიროა, რომ ტელასი, ქუთაისი და ქალაქის საბჭოები, რომელნიც თვითონ ეწევიან თავისი ქსელისა და ელექტროსადგურების ექსპლოატაციას, აგრეთვე სასწრაფოდ შეუდგნენ სსრკ-ის სახკომსაბჭოს დადგენილების რეალიზაციას.

სამრეწველო საწარმოებმა კი მათთან ჩატარებულ გამოკვლევათა საფუძველზე უნდა შეიმუშაონ კონკრეტული სამუშაო გეგმა თავისი ელექტრომეურნეობის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

აქამდე თითქმის არცერთ საწარმოში არ არის გამომუშავებული ენერგიის ხარჯის ხვედრითი ნორმები, იქ კი, სადაც არის, საორიენტაციო ხასიათი აქვს. ენერგიის ისეთი ტევადი წარმოებაც კი, როგორიც ჯუღელის ფერომარგანეცის ქარხანაა, ფიქრობს, რომ ერთ ტონა ფერომარგანეცზე ხარჯავს 3.000 — 4.000 კილოვატსაათს, ხოლო ერთ ტონა ფეროსილიციუმზე 11.000—14.000 კილოვატსაათს, ნორმის მიხედვით კი უნდა იხარჯებოდეს ფერომარგანეცზე 3.600 კილოვატსაათი და ფეროსილიციუმზე 11.500 კილოვატსაათი. ნორმებთან შედარებით ვღებულობთ ენერგიის უდიდეს გადახარჯვას.

ანალოგიური მდგომარეობაა სხვა საწარმოებშიც.

ასეთ უპასუხისმგებლო მდგომარეობას ხვედრითი ნორმების მხრივ ბოლო უნდა მოეღოს.

ტექნიკურად დასაბუთებული ხვედრითი ნორმა უნდა გახდეს საწარმოს და მის ენერგომუშაკთა მუშაობის ხარისხის მაჩვენებელი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებით სახალხო კომისარიატებს წინადადება ეძლევათ 1936 წლის 1 დეკემბრიდან გადასინჯონ და დაამტკიცონ ენერგიის ხარჯვის ახალი ხვედრითი ნორმები.

რაც შეეხება სიმძლავრის კოეფიციენტის საკითხს, სახკომსაბჭოს დადგენილება მოითხოვს მის გადიდებას 0,85-მდე.

სიმძლავრის კოეფიციენტის საკითხის სტიმულირებისათვის „გლავენერგომ" გამოაცხადა ელექტროსადგურთა და სამრეწველო საწარმოთა კონკურსი.

საუკეთესო სამრეწველო საწარმოთათვის დანიშნულია პრემიები 340 ათასი მანეთის რაოდენობით, საუკეთესო ელექტროსადგურთა და ქსელისათვის კი 105 ათასი მანეთის რაოდენობით.

ყველა ჩვენი საწარმო უნდა ჩაებას ამ შეჯიბრებაში და მოიპოვოს პრემიის მიღების უფლება. უნდა აღინიშნოს, რომ, კონკურსის პირობების თანახმად, ეს პრემიები განაწილდება მხოლოდ და მხოლოდ იმ მუშაკთა შორის, რომელნიც უშუალო მონაწილეობას ღებულობენ მუშაობაში ელექტრომეურნეობის მაჩვენებელთა გასაუმჯობესებლად.

წელს აფხაზეთში ციტრუსოვანთა საუკეთესო მოსავალია

სურათზე: სოხუმის რაიონის სუბტროპიკულ საბჭოთა მეურნეობა „ილიჩის" მანდარინების მკრეფავი მუშა-ქალები მ. ზაბოლდიცინა (მარცხნივ) და ა. რემიზოვა (მარჯვნივ).

(ფოტო ბარასკევოპულოსი —„სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

სავაჭროებში გაფლანგვა-მტაცებლობის მოსასპობად *

სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭროებში მტაცებლობასთან და გაფლანგვებთან ბრძოლის საკითხი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ მოგვარებული.

სავაჭრო ქსელში გაფლანგვა-მტაცებლობათა შემთხვევების შესწავლით იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მაღაზიებში არსებული ჯამობრივი აღრიცხვის სისტემა და მატერიალურ პასუხისმგებლობის საკითხში დაშვებული გაუპიროვნება არა თუ არ უზრუნველჰყოფს მტაცებლობისა და გაფლანგვების შემცირებას, არამედ, პირიქით, პირობებს ჰქმნის სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის და აძნელებს პირდაპირ დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლას.

მტაცებლობა სავაჭრო ქსელში უმთავრესად ორნაირი სახისაა: ან გზაზე, როდესაც საქონელი ცენტრალური საწყობიდან მაღაზიაში გადააქვთ, ან თვით მაღაზიაში, საქონლის უჩეკოდ გაცემისა და ნავაჭრი თანხების უშუალოდ მიღების დროს.

პირველ შემთხვევაში მტაცებლობა ხდება სექციის გამგის მიერ, ან მისი მონაწილეობით, ხოლო მაღაზიის დანარჩენმა მუშაკებმა, კერძოდ გამყიდველებმა, შესაძლებელია არაფერი იცოდნენ ასეთი მტაცებლობის შესახებ, მით უმეტეს, რომ საქონლის ფაქტურებს ბუხჰალტერიას უშუალოდ სექციონერები წარუდგენენ ხოლმე.

ხშირია შემთხვევა, როცა ცენტრალური საწყობიდან მიღებული საქონელი ბარდება არა სექციას, არამედ მაღაზიებთან მყოფ დამხმარე საწყობებს, რომლის გასაღები ინახება იმავე სექციონერთან და ამ საწყობიდან საქონლის გამოტანა მაღაზიაში ხდება თანდათანობით, რაც შეუძლებელს ხდის გამყიდველთა მხრივ სექციონერისთვის კონტროლის გაწევას.

მაღაზიის ბუხჰალტერია ფაქტურების შემოსავალში გატარებისას ეყრდნობა სექციონერის ცნობას, რომ საქონელი ნამდვილად მიღებულია მაღაზიის ან სექციის მიერ და არც მას აქვს საშუალება შეამოწმოს, უკლებლივ მოაღწია საქონელმა მაღაზიამდე თუ არა.

ასეთ პირობებში, როდესაც თვიური ან კვარტალური აღწერების დროს აღმოჩნდება ხოლმე დანაკლისი, სექციის დიდი ბრუნვის საბუთების მიხედვით და გამოძიებითაც უკვე შეუძლებელი ხდება გამორკვევა, მართლაც მოხდა თუ არა ცენტრალური საწყობიდან გამოტანილი საქონლის გზაში მითვისება.

სექციონერის კონკრეტული დანაშაული გამოუმჟღავნებელი რჩება, ხოლო ეს გარემოება მასვე საშუალებას აძლევს დანაკლისისათვის პასუხი აგებინოს გამყიდველებს და ბრალი დასდოს მათ მტაცებლობასა და კომბინაციებში.

ზოგ შემთხვევებში კი შესაძლებელია სექციონერი მართლაც უდანაშაულო იყოს, რადგან მას არა აქვს შესაძლებლობა სისტემატიურად და ყოველთვის იმყოფებოდეს სექციაში და თვალყური ადევნოს ორივე ცვლის გამყიდველთა მუშაობას.

ამ პირობებში აღმოჩენილი დანაკლისის გამო სექციონერის პასუხისგებაში მიცემა იმ მოტივით, რომ მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ სექციონერს, ნიშნავს ნამდვილ მტაცებელთა დაუსჯელად დატოვებას, რომელთა გამომჟღავნება ასეთ პირობებში და კონკრეტულ ბრალდებათა დადასტურება ძნელია.

უფრო მეტად ამწვავებს საქმეს თბილისის ზოგიერთ მაღაზიაში შემოღებული კოლექტიური მატერიალური პასუხისმგებლობა.

ასეთი პასუხისმგებლობა სრულიად მიუღებელია, რადგან მტაცებლობა და გაფლანგვა წარმოადგენს სისხლის სამართლის წესით დასასჯელ ქმედობას და აღმოჩენილი დანაკლისის გამო დამნაშავის პასუხისგებაში მისაცემად საჭიროა ბრალდების კონკრეტულად ჩამოყალიბება, სახელდობრ ვინ, რამდენი, რა საშუალებით, რა პირობებში, ვისი მონაწილეობით და სხვ. კოლექტიური მატერიალური პასუხისმგებლობის სისტემა კონკრეტული დამნაშავის პოვნასა და ბოროტმოქმედებისათვის ფარდის ახდას აძნელებს.

როგორაა დაყენებული საქმე თბილისის მაღაზიებში?

მაგალითად, ზოგ მაღაზიაში მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ მაღაზიის გამგეს, ზოგან მაღაზიის გამგეს და მის მოადგილეს, ზოგან კი მაღაზიის გამგესთან ერთად მატერიალური პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვთ სექციონერებსაც და მაღაზიის მუშაკებსაც. მეტ წილ შემთხვევებში კი მაღაზიის გამგე სრულიად განთავისუფლებულია მატერიალური პასუხისმგებლობისაგან.

ასეთი არევდარევა ძალიან აძნელებს და ხშირად შეუძლებელს ხდის კონკრეტულ და ნამდვილ დამნაშავეთა გამომჟღავნებას, რაც ასუსტებს და ეფექტს უკარგავს ნამდვილ დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლას, ხოლო ყოველივე ეს ხელს უწყობს მტაცებლობა-გაფლანგვებს სავაჭრო ქსელში.

ჩვენი აზრით საჭიროა ამ არევდარევის აღმოფხვრა, თვითეული გამყიდველი მიმაგრებული უნდა იქნას საქონლის ცალკე ჯგუფზე, ცალკე შკაფზე, ცალკე მაგიდაზე, ცალკე კიოსკზე და სხვ. ამ გზით დაწესდება და გაძლიერდება თვითეული მათგანის დამოუკიდებელი, კონკრეტული და პერსონალური პასუხისმგებლობა. ეს კი, ერთის მხრივ, შეამცირებს მტაცებლობა-გაფლანგვებს, მეორე მხრივ კი საშუალება გვექნება გამოვამჟღავნოთ კონკრეტული დამნაშავენი და მათ მიმართ უფრო ეფექტური ზომები მივიღოთ.

საქონლის დანაკლისის კოლექტიური მატერიალური ანაზღაურების ნაცვლად, რაც ხელს უშლის კონკრეტულ დამნაშავეთა გამომჟღავნებას, სავაჭრო ქსელში უნდა შემოვიღოთ ცალკე გამყიდველთა საქონლის ერთ გარკვეულ ჯგუფზე მიმაგრება და მისთვის პასუხისმგებლობის განმტკიცება. ეს ღონისძიება გაფლანგვა-მტაცებლობას შეუძლებელს გახდის.

ხ. მისარძიშვილი.

---

*) წინადადების წესით. რედ.

წერილები რედაქციას

„რემონტმა" სკოლების მშენებლობა ჩაშალა

პატივცემულო ამხანაგო რედაქტორო!

თბილისის რაიონში წელს შენდება სამი ახალი სკოლა: კუმისში, წავკისსა და ლილოში. რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით მშენებლობა თავის დროზე დაიწყო (ივლისში) და უზრუნველყოფილია საჭირო თანხებით. რაიაღმასკომთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მშენებლობას აწარმოებს ამხანაგობა „რემონტი", სამწუხაროდ, „რემონტი" სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევს მშენებლობის ობიექტებს, რის შედეგიც ის არის, რომ მშენებლობა ჭიანურდება და დაბალი ხარისხით სრულდება.

ამხანაგობა „რემონტის" მთავარმა ინჟინერმა სვანიძემ არ იცის, რა ხდება ადგილებზე და როგორი ტემპით მიმდინარეობს მშენებლობა. ის იშვიათად ესტუმრება მშენებლობის ობიექტებს. ასეთი უყურადღებობის შედეგი იყო კუმისის სას. საბჭოში ახლად აშენებული სახლის კედლების ჩამონგრევა.

„რემონტმა" ვერც საჭირო მასალებით და მუშა-ხელით უზრუნველყო მშენებლობა. სამივე სასკოლო ობიექტი გეგმით პირველი სექტემბრისათვის უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ დღესაც არ არის დამთავრებული [illegible] მხოლოდ 30-40 პროცენტით არის შესრულებული.

რაიონის განათლების განყოფილებამ თავის დროზე გასცა საჭირო თანხები, მაგრამ „რემონტმა" ეს თანხები სათანადოდ ვერ აითვისა, რაციონალურად ვერ გაანაწილა მუშა-ხელი მშენებლობის ობიექტებზე. როდესაც კუმისის მშენებლობაზე საჭირო იყვნენ დურგლები, იქ გზავნიდნენ კალატოზებს და უხდიდნენ გამცდარი დროის ხელფასს. ადგილზე მომუშავეებიც დღეში ორ-სამ საათს მუშაობენ და მთელი დღის ხელფასს იღებენ. ათისთავი გეურქოვი კერძო საქმეებით არის დატვირთული და მშენებლობას იშვიათად თუ ესტუმრება.

საშენი მასალების განიავებისათვის იგი მოხსნილ იქნა თანამდებობიდან, მაგრამ ვილაცის მფარველობით დღემდე „ვერ შესცვალეს".

ამჟამად კუმისის სასოფლო საბჭოში მშენებლობა შეჩერებულია მუშახელისა და საჭირო მასალების მოუწოდებლობის გამო.

ასეთი ტემპები სრულებითაც ვერ უზრუნველყოფს კუმისში სასკოლო მშენებლობის მიმდინარე წელს დამთავრებას.

სერგო მეზუკე.

სოფ. კუმისის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი.

დედაქალაქიდან დაბრუნების შემდეგ

პატივცემულო ამხანაგო რედაქტორო!

ამას წინათ წულუკიძის რაიონიდან (ყოფ. ხონის რაიონი) დედაქალაქის — თბილისის დასათვალიერებლად გამოგვგზავნეს ექსკურსიაზე. ყველა ჩვენგანი წინათაც ყოფილა თბილისში, ყველას გვახსოვს, თუ რას წარმოადგენდა დედაქალაქი ამ 4-5 წლის წინათ. ძველი თბილისი ველარსად ვიპოვნეთ. ვნახეთ განახლებული, აღორძინებული და გამშვენიერებული დედაქალაქი, ახალი სკოლებით, უმაღლესი სასწავლებლებით, საავადმყოფოებით, ვეებერთელა ახალი შენობებით, ფაბრიკა-ქარხნებით, ახალი ქუჩებით და ქუჩებში გაცხოველებული მოძრაობით, ავტომობილთა და ავტობუსთა ქარავნებით.

ექსკურსიის წევრებმა დავათვალიერეთ გამოფენები, მუზეუმები, ძველი და ახალი უბნები. ვნახეთ ცნობილი კომკავშირული ხეივანი, ფუნიკულიორი, ჩელუსკინელთა ხიდი, კლიაევის ახალი, ფართო და გამშვენიერებული ქუჩა, თბილისის მშვენება — ახალი სანაპირო ქუჩა. ვნახეთ და გულდასმით დავათვალიერეთ ამხ. ლ. ბერიას მოხსენებისადმი — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის" მიძღვნილი გამოფენა. დაუვიწყარი შთაბეჭდილებები მივიღეთ დედაქალაქში და ამ შთაბეჭდილებებმა შთაგვბერეს ახალი ენერგია მუშაობის შემდგომი გაძლიერება - გაშლისათვის.

საკუთარი თვალით ვნახეთ აღორძინებული დედაქალაქი. აღფრთოვანებულებმა პირობა მივეცით ერთმანეთს, რომ ამ მიღწევებს გავაცნობთ ჩვენი რაიონის თვითეულ მშრომელს და სათავეში ჩავუდგებით სტახანოვურ მოძრაობას, რომელსაც მივყევართ შეძლებული ცხოვრებისაკენ.

დიდი მადლობის ღირსია წულუკიძის რაიონული ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით ამხ. შ. თალაკვაძე, რომლის ინიციატივითაც მოეწყო ეს ექსკურსია.

ვ. ჯელია

ყურადღება გალის თეატრს

ამხ. რედაქტორო!

გალში ამხ. ლ. სვანელის ხელმძღვანელობით დიდიხანია თეატრი არსებობს, თეატრმა მუშაობის დაწყების პირველ დღეებში მოგვცა ლავრენევის პიესის „რღვევის" მშვენიერი დადგმა, მაგრამ შემდეგ თეატრის ხელმძღვანელები „სადღაც ძილს" მიეცნენ და თანდათანობით ყოველგვარი მუშაობა ჩაკვდა. „რღვევის" შემდეგ თეატრს არცერთი პიესა არ დაუდგამს. ეს მაშინ, როცა ყველა პირობა არსებობს ნორმალური მუშაობისათვის.

თეატრს ჰყავს ქ. გეგეჭკორის ხელმძღვანელობით მომღერალთა გუნდი. თეატრის ირგვლივ შემოკრებილი არიან ნიჭიერი მსახიობები და სცენის მოყვარულნი. მაგრამ რათ გინდათ! თეატრის ხელმძღვანელები საქმით არ არიან დაინტერესებულნი. საჭიროა გალის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა თეატრს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

მ. ქეცბა.

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ქალ. თბილისიდან რაიონებში სამუშაოზე გაგზავნილ პირთა საბინაო შეღავათების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო **ადგენენ:**

1. ქალ. თბილისიდან რაიონებში პასუხსაგებ პარტიულ და საბჭოთა სამუშაოებზე და აგრეთვე სპეციალისტებად გაგზავნილ პირებს შეენარჩუნოთ საცხოვრებელი ფართობი, რაც მათ თბილისში უჭირავთ, ორი წლის განმავლობაში დღიდან ახალ სამუშაოს ადგილას წასვლისა.

უკეთუ მომუშავის ოჯახი ან ოჯახის ზოგიერთი წევრი ახალ სამუშაო ადგილას გადავიდა, შეენარჩუნოს ამ პირთ ზემოაღნიშნული ვადის განმავლობაში საცხოვრებელი ფართობი თბილისში.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთ უფლება აქვთ გადასცენ იმ ხნის განმავლობაში, რაც ისინი თბილისში არ იქნებიან მათთვის შენარჩუნებული საცხოვრებელი ფართობი სხვა მშრომელთ იმ პირობებზე, რაც გათვალისწინებულია „სხვა ადგილას სამუშაოზე გადაყვანისა, კვლავ სამუშაოზე მიღებისა და სხვა ადგილას სამუშაოზე წარგზავნის შემთხვევებში კომპენსაციების და გარანტიების შესახებ" სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1931 წ. ნოემბრის 23 გამოცემული დადგენილების 22 მუხლით (სსრკ კან. კრ. 1931 წ. № 68, მუხ. 453).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალ. აღმსრულებელი თ. ძლენტი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვალ. აღმსრ. გ. ჟურულაშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ ვ. ჩხეიძე.

1936 წ. ნოემბრის 27.

მუშაობენ სტახანოვურად

ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნეობა „სოციალიზმისაკენ" წარმატებით იბრძვის ყველა ვალდებულების თავის დროზე და ხარისხიანად შესრულებისათვის. მედგარი მუშაობის შედეგად კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 7,5 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე 15,5 ცენტნერი თამბაქო მიიღო.

მეურნეობას საუკეთესოდ აქვს მოვლილი აგრეთვე ჩაის, მანდარინის და ტუნგოს პლანტაციები.

ენერგიული, მედგარი შრომით კოლმეურნეობა თანდათან მტკიცდება და ძლიერდება. კოლმეურნეებიც შეძლებულნი ხდებიან.

ჩაისუბნის კოლმეურნეობას ჰყავს სტახანოველები, გეგმას 200—300 პროცენტით შემსრულებლები, ასეთებია: თამარ ბოლქვაძე, ეტერი ბოლქვაძე, ლუბა ტუნგიაძე, ნორა ბერიძე, მარო ბოლქვაძე, ნადია ბერიძე, ნადია ჩხიკვაძე, ვალენტინ ჩხიკვაძე.

ვ. უნგიაძე

ბაზარია თუ?...

საგარეჯოს რაიონში კვირაობით ბაზრობაზე უამრავი ხალხი იყრის თავს, კოლმეურნეებს გასაყიდად მოაქვთ თავიანთი პროდუქტები, მაგრამ ბაზარი არაა სათანადოდ მოწყობილი; თუმცა ბაზრის ფართობი საკმაოა, მაგრამ ხევის პირად იმყოფება და აქ არ არის არავითარი საბაზრო მოწყობილობა, სავაჭრო ფარდულები, ღია დახლები. უბრალოდ თავშესაფარებელი ადგილიც არ მოიპოვება და მცირე წვიმის დროსაც კი შეუძლებელია ვაჭრობის გაგრძელება.

როგორ უნდა მოეწყოს ნამდვილი კულტურული საბჭოთა ბაზარი?

უპირველესად ყოვლისა საჭიროა ბაზარი მოეწყოს მოხერხებულ ადგილას, კარგად იყოს მოკირწყლული, ჰქონდეს რამდენიმე სავაჭრო ფარდული, ღია გრძელი დახლები და სხვ.

აქ მოწესრიგებული არ არის ვაჭრობის საქმეც. რადგანაც კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭროებს იქ არ გააქვთ საქონელი, გავრცელებულია გადამყიდველობა. გადამყიდველებს ხშირად ბაზარზე გამოაქვთ კოოპერატივიდან გამოტანილი ტანისამოსი, ფეხსაცმელი და სხვა საქონელი. ამ მოვლენას ბოლო უნდა მოეღოს. ამისთვის არ კმარა გადამყიდველობის მარტო აკრძალვა. საჭიროა სახელმწიფო და კოოპერატიულმა სავაჭროებმა გახსნან ბაზარზე შეკერილი ტანსაცმლისა და სხვა სახის სამრეწველო საქონლის სავაჭრო წერტილები და ფარდულები.

საჭიროა აგრეთვე კოლმეურნეებს მიაწოდონ საამშენებლო მასალა, როგორიცაა ლურსმანი, მინა, კარ-ფანჯრის ანჯამები, ვასალები და სხვ.

საკვირაო ბაზრობის დროს ცუდადაა ხოლმე დაყენებული ლიტერატურით ვაჭრობა. ბაზარზე ვერ ნახავთ მხატვრულ, პოლიტიკურ და სხვა ხასიათის წიგნებს, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

საბჭოთა ბაზარზე დაცული უნდა იყოს აგრეთვე სანიმუშო სისუფთავე და წესრიგი, უნდა იყოს საექიმო კონტროლი. ამ მხრივ აქ არაფერი კეთდება.

საგარეჯოს ბაზრის თითქმის ნახევარი ღვინით სავსე ტიკებს და ღვინის ბოთლებს უკავია. გაჩაღებულია ლოთობა, რომელიც ხშირად შეღამებამდე გასტანს ხოლმე. ამას კი მოსდევს ჩხუბი, ცემა-ტყეპა და აყალმაყალი.

მილიცია კი წესრიგის დაცვაზე ნაკლებად ზრუნავს.

საგარეჯოს რაიონის ბაზარი მოუწყობელია. ის ვერ აკმაყოფილებს მზარდი საკოლმეურნეო ვაჭრობის მოთხოვნებს. დროა ბაზარს მზრუნველი ხელი დაეტყოს. საგარეჯოს რაიაღმასკომი ალბათ ითავებს ამ საქმეს.

ნ. კიკვაძე.

სასკოლო მუშაობის „წვრილმანები"

ნ. ჭილიძე

30-14 საშუალო სკოლის დირექტორი

საქართველოს განსახკომის ძველმა ხელმძღვანელობამ ვერ გარდაქმნა მუშაობა პედაგოგიური პროცესის შესატყვისად და სკოლების ახალ მოთხოვნილებათა შეფარდებით. სკოლის მტკივნეული საკითხები ჯერ კიდევ მოუგვარებელია.

პირველი კლასისათვის არ მოიპოვება ქართულ ენაზე ანბანის სწავლების მეთოდიკა, პედაგოგიური მეცნიერების თვალსაზრისით გამართული. სწორედ აქ ეძლევა გასაქანი ახალგაზრდა მასწავლებლის მეთოდთა ძიების კუსტარულ ხასიათს, არამეცნიერულ ექსპერიმენტებსა და მეთოდურ „პროექტიორობას". საჭიროა დაუყოვნებლივ გამოიცეს ანბანის სწავლების მეთოდიკის პრაქტიკული სახელმძღვანელო.

ქართულ სკოლებს არა აქვთ დაწყებითი სკოლებისათვის გრამატიკის სახელმძღვანელო. საჭიროა დაწყებითი სკოლების პროგრამებთან შეფარდებით დაიბეჭდოს ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც ითვალისწინებდეს ენობრივი მონაცემების პროპედევტიკურ კურსს.

ჩვენი სკოლის მოწაფეები ცუდად სწერენ. კალიგრაფიულად გამომუშავებული ხელი მოწაფეთა რვეულების მრავალრიცხოვან კომპლექტებში „იშვიათ მარგალიტებად" სჩანს. ქართული დამწერლობა საერთოდ დამახინჯებულია, მრგვალი და ირიბი დამწერლობა ერთმანეთშია არეული. აქაც სასკოლო პრაქტიკაში ფართო გასაქანი აქვს ქართული დამწერლობის დედნების კუსტარულ ძიებას. ნუთუ ძნელი შეიქნა ქართული დამწერლობის დედნის შემუშავება?

დედაენისა და ლიტერატურის სწავლების მოუწესრიგებლობა იმისი ბრალია, რომ ქართულ ენაზე არ მოიპოვება ენის მეთოდიკის არცერთი სახელმძღვანელო, ლიტერატურის კურსისა და მოცულობის განმსაზღვრელი არცერთი მეთოდური წერილი, ლიტერატურის მეთოდიკის მეცნიერულად დასაბუთებული სახელმძღვანელო, გრამატიკულ სავარჯიშოთა კრებული, მეტყველების განსავითარებელი პლაკატები, ცხრილები, ტაბულები და სხვ. ამ შემთხვევაში განსახკომის მიერ აშკარად დარღვეულია ცენტრალური კომიტეტის სადირექტივო მითითება, რომელიც აღნიშნავდა „წინადადება მიეცეს განსახკომს სასწრაფოდ დაამუშაოს მეთოდიკები ცალკეული დისციპლინებისა და სხვადასხვა სახის სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის მიხედვით" (1932 წ. 25 აგვისტოს დადგენილებიდან).

მაგრამ ამ მიმართულებით არცერთი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა. საჭიროა დაუყოვნებლივ გამოიცეს ქართული გრამატიკის მეთოდიკა, ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელო და მეთოდიკა, ქართული ლიტერატურის მეთოდიკა, გეოგრაფიის მეთოდიკა, არითმეტიკის მეთოდიკა, ისტორიის, გრამატიკულ სავარჯიშოთა კრებული, ენობრივი მონაცემების თვალსაჩინო სქემები და სხვ.

მოუწესრიგებელია სკოლის გარეშე კითხვის ორგანიზაციის საქმეც. ქართული სკოლები მხატვრული საბავშვო ლიტერატურის დიდ შიმშილს განიცდიან. არსებული საბავშვო მხატვრული ლიტერატურა ვერ აკმაყოფილებს მოსწავლეთა გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებებს. საჭიროა გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები მხატვრული ლიტერატურის გამოსაცემად. საჭიროა გადმოითარგმნოს ის მდიდარი მხატვრული საბავშვო ლიტერატურა, რომელიც რუსეთს გააჩნია და გამოიცეს ქართულ ენაზე მოსწავლეთა ასაკის შესაფერისად სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისა, შრომისა, ბრძოლისა და გმირობის მხატვრულად დამუშავებული და დასურათებული საბავშვო წიგნები. აქ ხელშემშლელია ისიც, რომ ყველა სკოლასთან არ არის მოწყობილი საბავშვო წიგნთსაცავი.

თვალსაჩინო დიდაქტიკურ მასალათა უქონლობა, სასწავლო დისციპლინათა მიხედვით არასაკმარისი ექსპონატები, დიაპოზიტივები, საანგარიშო ცხრილები, მათემატიკური ტაბულები, სრული უქონლობა გონის განსავითარებელი პლაკატებისა, ორთოგრაფიული ლექსიკონებისა და სხვ. დაწყებითს სკოლაში ნიადაგს ჰქმნის წიგნური ზეპირსიტყვიერი სწავლებისათვის. ამიტომ ჩვენი სკოლის მოთხოვნაა თვალსაჩინო დიდაქტიკურ მასალათა დროულად გამოშვება.

სასკოლო რეჟიმის განმტკიცების მხრივ ყველაზე მტკივნეული საკითხია მოწაფეთა ყოფაქცევის ერთიანი წესების შეუმუშავებლობა. მოსწავლეთა შინაგანაწესის შემუშავების საქმეში ფართო ასპარეზი აქვს დათმობილი თვითეული სკოლის „ინდივიდუალობას": ცალკე სკოლები იძულებულნი ხდებიან „საკუთარი მოსაზრებისა" და „სურვილის" საფუძველზე გამოიმუშაონ და დაადგინონ მოსწავლეთა ყოფა-ქცევის წესები. ამიტომ, რაც ერთ სკოლაში სავსებით დასაშვები მოვლენაა, მეორეში აკრძალულია. ზოგი სკოლა გაკვეთილზე დაგვიანებულ მოწაფეს არ უშვებს, ზოგი დაგვიანებული თავისუფლად შედის გაკვეთილზე და სხვ. მაგალითები შორს წაგვიყვანდა. ერთიანი სავალდებულო შინაგანაწესის შემუშავების საჭიროება ყველასათვის ცხადია.

გაურკვევლობაა აგრეთვე სკოლის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობის განსაზღვრის საკითხში. არ არის გარკვევით ჩამოყალიბებული კლასის ხელმძღვანელთა ფუნქციები, მორიგე მასწავლებელთა მოვალეობანი, სასკოლო ორგანიზაციებისა და პიონერორგანიზაციის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. ყველაფერი ეს კი ცხადია, აფერხებს სასკოლო მუშაობის ორგანიზაციულად მოწესრიგებას და შინაგანი განწესრიგების ზუსტად გატარებას. ამიტომაც ხშირად ირღვევა წესრიგი სკოლაში.

სკოლის სამეურნეო-სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის აღრიცხვის საკითხიც მოუგვარებელია. ჩვენი სკოლების პრაქტიკაში, როგორც წესი, შემოღებულია მიმდინარე აღრიცხვის საფუძველზე მეოთხედის ანგარიშის შედგენა და განათლების დარგის ხელმძღვანელ ორგანოებისათვის გადაგზავნა. ხსენებული ანგარიშიანობისათვის არ არსებობს არავითარი ერთიანი სტანდარტული ფორმა, — ყოველი რაიონის განათლების განყოფილება თავისი მეთოდისტის ინდივიდუალური „ანკეტებით" მოითხოვს ანგარიშიანობას და შესრულების კონტროლს. ამიტომაცაა, რომ მეოთხედის ანგარიშების შედგენა, სხვადასხვა ცნობის შეგროვება სკოლას აყენებს დაძაბულ ატმოსფეროში. ხშირად ანკეტა გადაჭიმულია რამდენიმე ფურცელზე და მასწავლებელი ნერვიანობს. რისთვისაა საჭირო ყველაფერი ეს, ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ გან. განყოფილების მეთოდისტებმა თავიანთ კაბინეტებში მზამზარეულად მიიღონ სკოლის ყოველგვარი ცნობა.

უდაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პედაგოგიური მეურნეობის მოწესრიგებას. სკოლებს თუმცა აქვთ (რათქმა უნდა, ყველას არა) მოსწავლეთათვის შემოღებული პირადი საქმეები, მოსწავლეთა წარმატების აღრიცხვის სამეოთხედო დავთრები, სასკოლო ჟურნალები, საერთო ცნობათა დავთარი და სხვ., მაგრამ აქაც დიდ ქაოსს ვხედავთ.

საქართველოს განსახკომის მიერ არ არის გამოცემული არავითარი კონკრეტული მითითება მოსწავლეთა პირადი საქმეების შედგენისა და წარმოების შესახებ. სკოლები აქაც კუსტარული გზით მიდიან. პირადი საქმეების ფორმებიც სხვადასხვაობენ და, რაც მთავარია, სკოლებმა გარკვევით არ იციან, თუ როგორ მოახდინონ ფიქსაცია მოწაფეთა ქცევისა, სად გაატარონ წახალისების მიზნით გაცემული ქების სიგელები, სად მოუყარონ თავი მოწაფეთა მიმართ სხვადასხვა განკარგულებას, ბრძანებას და სხვ. ასეთ „წვრილმანებსაც" უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

საშუალო სკოლების შემდგომი განმტკიცება და ამაღლება, პედაგოგის აღიარება სასწავლო პროცესის ცენტრალურ ფიგურად, პედოლოგიური ცრუმეცნიერების ლიკვიდაცია, სწავლისა, აღზრდისა და განათლების მტკიცე დაკავშირება, პედაგოგიკისა და პედაგოგის უფლებები — განსახკომისა და განათლების დარგის ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე კატეგორიულად აყენებს მეთოდური ხელმძღვანელობის გადახალისება-გაძლიერების საკითხს. მეთოდური ხელმძღვანელობის ის წესები, რომლებიც დღემდის განათლების ორგანოების მთლიანი სისტემის დამახასიათებელი იყო, უკვე დრომოჭმულია, ცხოვრებისა და პრაქტიკის მიერ უარყოფილი და მისი „აღდგენა" ძველი ფორმებით მიზანშეუწონელია.

მსგავსად რუსეთის გამოცდილებისა, განსახკომთან უნდა ჩამოყალიბდეს საბჭო, რომელიც გააერთიანებს უმაღლესი და საშუალო სკოლების გამოცდილ-კვალიფიციურ პედაგოგ-პრაქტიკოსებს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მეთოდური ხელმძღვანელობის კონკრეტულობას და ოპერატიულობას.

მიმდინარე სასწავლო წლისათვის ზემოაღნიშნული შემაფერხებელი პირობების დროულად მოწესრიგება უზრუნველყოფს სკოლის „ძირითადი ნაკლის" სავსებით ლიკვიდაციას და სკოლის შესახებ პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებათა რეალიზაციას.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები (მარცხნიდან მარჯვნივ): ზევით — დ. ანდღულაძე, ნ. ქუმსიაშვილი, ე. მიქელაძე. ქვევით — დ. ჯავრიშვილი, ე. სოხაძე, ლ. გვარამაძე.

ოპერის თეატრის დამსახურებული არტისტები

მთავრობის მიერ ქართული ნაციონალური ოპერის განვითარების საქმეში თვალსაჩინო შემოქმედებითი მუშაობისა და განსაკუთრებული დამსახურებისათვის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო სახელით დაჯილდოვებული მსახიობები ჩვენი საოპერო თეატრის წამყვანი ძალებია. როგორც მკითხველებმა იციან, დამსახურებული არტისტის სახელწოდება მიენიჭათ დ. ანდღულაძეს, ნ. ქუმსიაშვილს, ეკ. სოხაძეს, ლ. გვარამაძეს, ლ. სტუპელს, ე. კაპელნიცკის, ხოლო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდება — ე. მიქელაძეს და დ. ჯავრიშვილს.

○

დავით იასონისძე ანდღულაძე დაიბადა 1895 წელს ოზურგეთის მაზრაში, გლეხის ოჯახში. სიმღერის სწავლა დაიწყო 1922 წელს თბილისის კონსერვატორიაში, რომლის დამთავრების შემდეგაც მიღებულ იქნა საოპერო თეატრში.

1927 წელს შევიდა კ. სტანისლავსკის საოპერო სტუდიაში (მოსკოვი). 1929-დან 1933 წლამდე მუშაობდა თბილისის საოპერო თეატრში. 1933 წელს დებიუტის შემდეგ მიღებულ იქნა მოსკოვის დიდ საოპერო თეატრში, სადაც ასრულებდა საპასუხისმგებლო რეპერტუარს. 1935 წელს კვლავ თბილისში იქნა მოწვეული.

○

ნიკოლოზ გიორგისძე ქუმსიაშვილი დაიბადა 1892 წელს სოფ. ორხევში (თიანეთის რაიონი) გლეხის ოჯახში. 1913 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და ამხანაგებთან ერთად [illegible] მოგზაურობდა გერმანიასა და საფრანგეთში.

1914-დან 1919 წლამდე მუშაობდა სოხუმში მასწავლებლად. 1919 წელს საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში. 1920 წელს შევიდა რიაბოვის სტუდიაში და დაიწყო სიმღერის სწავლა.

1924 წელს ჩაირიცხა არტისტად თბილისის საოპერო თეატრში და ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ საპასუხისმგებლო პარტიებს ასრულებდა ქართულ, რუსულ და ევროპულ ოპერებში.

ნ. ქუმსიაშვილი ორჯერ იყო არჩეული თბილისის საბჭოს დეპუტატად.

○

ევგენი ხიმოხისძე მიქელაძე დაიბადა 1903 წელს. 1921 წელს დაამთავრა თბილისის რეალური სასწავლებელი, რის შემდეგაც დამკვრელად შევიდა № ქართული ლეგიონის სამხედრო ორკესტრში, აქედან კი გადავიდა კურსანტების სკოლაში, სადაც ბოროსის უფროსი მუსიკოსად, შემდეგ კი კაპელმაისტერის თანაშემწედ. ამის შემდეგ მიქელაძე გადადის № ტერიტორიალურ ლეგიონში კაპელმაისტერად, ამავე დროს სწავლობს თბილისის კონსერვატორიის თეორიისა და კომპოზიციის კლასში.

აქედან ის საქ. განათლების სახალხო კომისარიატის მიერ მივლინებულ იქნა ლენინგრადის კონსერვატორიაში, რომელიც 1931 წელს დაამთავრა. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ის გამოდიოდა ლენინგრადის კონსერვატორიის საოპერო სტუდიის მუდმივ დირიჟორად.

1931 წლიდან ე. მიქელაძე გადმოდის თბილისში და დირიჟორად მუშაობს ოპერის თეატრში. 1932 წელს განათლების კომისარიატის ინიციატივით დაარსდა სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, რომლის ხელმძღვანელადაც დაინიშნა ე. მიქელაძე.

1934 წლიდან ე. მიქელაძე თბილისის ოპერის მთავარი დირიჟორია. პარალელურად ის პედაგოგიურ მუშაობას ეწევა კონსერვატორიაში.

○

დავით ლავრენტისძე ჯავრიშვილი დაიბადა 1895 წელს გორის უეზდ. მაზრაში. მამა მისი იყო ტელეგრაფის მოხელე. 1914 წელს დაამთავრა ქართული გიმნაზია.

1919 წლიდან დ. ჯავრიშვილი ეწევა პედაგოგიურ მუშაობას ფიზიკური აღზრდის დარგში ქუთაისის და შემდეგ ბათუმის სასწავლებლებში. მას დამუშავებული და გამოცემული აქვს რამდენიმე სახელმძღვანელო ფიზიკური აღზრდის საკითხებზე.

ქორეოგრაფიულ დარგში მუშაობას ამხ. დ. ჯავრიშვილი იწყებს 1924 წლიდან. 1928 წელს ბათუმში ჯავრიშვილი აარსებს ქართული ქორეოგრაფიის ექსპერიმენტალურ სტუდიას. 1929 წელს მას გამოჰყავს [illegible] მოსკოვსა და ხარკოვში. 1931 წელს უკრაინის განათლების კომისარიატი იწვევს ჯავრიშვილს ხარკოვში ოპერა „აბესალომ და ეთერის" ქორეოგრაფიული ნაწილის დასადგმელად.

19[illegible] წლიდან დ. ჯავრიშვილი მოწვეულ იქნა სამუდამოდ თბილისის ოპერის თეატრში ქართული ოპერების ქორეოგრაფ-დამდგმელად. მისი ხელმძღვანელობით თეატრთან ჩამოყალიბდა ქორეოგრაფიული სტუდია. 1935 წელს დ. ჯავრიშვილი მიღებულ იქნა ლონდონში ხალხური ცეკვის საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილე ქართული ჯგუფის სამხატვრო ხელმძღვანელად.

○

ეკატერინე ტარასის ასული სოხაძე დაიბადა 1907 წელს ქუთაისში ღარიბ ოჯახში. 1925 წელს დაამთავრა ცხრაწლედი, რის შემდეგ შევიდა ქუთაისის მუსიკალურ ტექნიკუმში. ტექნიკუმში შესვლა სრულიად შემთხვევით მოხდა. 1924 წელს თბილისიდან ქუთაისში ჩავიდა საოპერო კოლექტივი ოპერა „შოთა რუსთაველის" დასადგმელად. გუნდის მოსამზადებლად თვით ქუთაისში მოიწვიეს, რისთვისაც ხმები შეარჩიეს სკოლებში. მათ შორის მოხვდა ეკ. სოხაძეც.

ქუთაისის მუსიკალურ ტექნიკუმში სიმღერის მასწავლებლად იყო ე. მ. მაზიაშვილი, რომელმაც ყურადღება მიაქცია მას და მზრუნველობა გაუწია.

1928 წელს დაამთავრა მუსიკალური ტექნიკუმი და მიღებულ იქნა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მეოთხე კურსზე. ორი წლის განმავლობაში დაამთავრა კონსერვატორია.

1930 წლიდან მუშაობს მსახიობად ოპერის თეატრში.

○

ლილი გვარამაძე (მოცეკვავე) პირველდაწყებითი სპეციალური განათლება მიიღო თბილისში ოპერის სტუდიაში, ამავე დროს სწავლობდა მე-43 შრომის სკოლაში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შევიდა ოპერის თეატრში, სადაც ორი წელიწადი იმუშავა. შემდეგ სახალხო განათლების გასაღრმავებლად ლენინგრადს გაემგზავრა, სადაც დაამთავრა სახელმწიფო ქორეოგრაფიული ტექნიკუმი.

1930 წელს ბრუნდება თბილისში და მუშაობას იწყებს ოპერის თეატრში. 1932 წელს ამთავრებს თბილისის უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტს.

○

ლაზარე მარკოზისძე სტუპელი (ორკესტრის არტისტი) დაიბადა 1886 წელს ქ. ვილნოში მუსიკოსის ოჯახში. ვიოლინოს აკვრას სწავლობდა 10 წლის ასაკიდან. მუსიკალური განათლება დაამთავრა მოსკოვში 1910 წელს. 1914 წელს გადმოვიდა თბილისში და მუშაობდა კლუბებში. 1920 წლიდან განუწყვეტლივ მუშაობს თბილისის საოპერო თეატრის ორკესტრში.

○

ემილ ნაუმისძე კაპელნიცკი (ორკესტრის არტისტი) დაიბადა 1881 წელს ოდესაში მუშის ოჯახში, 15 წლიდან მუშაობს ორკესტრებში, სადაც საპასუხისმგებლო ადგილი უჭირავს.

1900 წლიდან განუწყვეტლივ მუშაობს თბილისის საოპერო თეატრში. პარალელურად ეწევა პედაგოგიურ მუშაობას.

ხელოვნება

„აბესალომ და ეთერი" ოპერის თეატრში

29 და 30 ნოემბერს ოპერის თეატრში პირველად ამ სეზონში მიდის ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი", დადგმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის შ. აღსაბაძისა, მხატვრული გაფორმება ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ი. გამრეკელისა.

მთავარ პარტიებს მღერიან: ეთერს — გოსტენინა, როდე ჩიჯავაძე, რესპ. დამს. არტ. სოხაძე, აბესალომს — დამსახურებული არტისტები დ. ანდღულაძე, ნ. ქუმსიაშვილი, მურმანს — პ. ამირანაშვილი, დამს. არტისტი ს. ინაშვილი, შ. ცირეკიძე, მარიხი — ნოვრუზაშვილი, ტატიშვილი, ხარაძე, ნათელა — სტეპანიანი, ცოძაია, შარაბა-დოლიძე, აბიო — ს. კუხიანიძე, ვ. შარაშიძე, გრიგოლიშვილი, თანდარუხი — ზ. სვანიძე, მ. ცაგურია, მურმანის დედა — ლიპაიშვილი, შათირიშვილი.

დირიჟორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ევგენი მიქელაძე, ხორმეისტერი — კაპულსკი. ცეკვები დადგმულია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დ. ჯავრიშვილის მიერ.

ცეკვებში მონაწილეობენ რესპ. დამს. არტ. ლილი გვარამაძე, თ. ჭაბუკიანი, ბაუერი, სუხიშვილი, ჩიხლაძე.

ამხ. ბერიას წიგნის ახალი გამოცემა

ბოლშევიზმის ისტორია მისი ჩასახვის დასაწყისიდანვე განუყოფლად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის სახელთან.

ამხანაგ ბერიას მოხსენება თბილისის პარტაქტივის კრებაზე 1935 წლის 21-22 ივლისს „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" — წარმოადგენს უძვირფასეს განძს ისტორიულ ლიტერატურაში ლენინური პარტიის შესახებ. ამ მოხსენებაში ამხ. ბერიამ ცხადჰყო, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით როგორ იქმნებოდა ბოლშევიზმი საქართველოში, როგორ იწრთობოდნენ საქართველოს ბოლშევიკები, როგორ იჭედებოდა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი.

„პრავდასა" და სხვა გაზეთებში დაბეჭდილი, უდიდესი ტირაჟით ცალკე გამოცემული და გავრცელებული ეს მოხსენება გადაიქცა აუცილებელ მასალად ყველასთვის, ვინც ჩვენი პარტიის ისტორიას სწავლობს. გუშინ საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობამ გამოუშვა ამ წიგნის მეორე, შევსებული გამოცემა.

ამ გამოცემას დართული აქვს შენიშვნები, რომლებიც იძლევიან დამატებითს მდიდარ მასალას ამხანაგ სტალინის ბიოგრაფიის, და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ბრძოლის შესასწავლად. მასში შეტანილია 1935 წ. 26 ოქტომბერს „პრავდაში" გამოქვეყნებული ამხ. ბერიას სტატია „პრაღის კონფერენციის საკითხისათვის" (პასუხი ამხანაგებს) და ამხანაგ სტალინის დაპატიმრებათა, გადასახლებათა და გაქცევების ქრონიკა.

წიგნი საუცხოოდ არის დასურათებული, მრავალ ფოტოგრაფიებს გარდა (ამხანაგ სტალინის და სხვა ამხანაგების პორტრეტები, დოკუმენტების და ისტორიული ადგილების სურათები) მასში მოთავსებულია ზუსტად შესრულებული მრავალფეროვანი რეპროდუქციები ქართველი მხატვრების სურათებიდან, რომლებიც ასახავენ ამიერ-კავკასიაში ამხანაგ სტალინის მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდებს.

წიგნი წარმოადგენს სანიმუშო საჩუქარს ამ დღეებში მოწვეულ საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობისათვის.

წიგნი შეიცავს 160 გვერდს, ფასი 15 მანეთი.

„იზვესტია", 22 XI

საქვაჭრობამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა

საქონელბრუნვის წლიური გეგმა 169,3 მილიონი მანეთის რაოდენობით საქვაჭრობამ (დირექტორი ამხ. ს. ჯაფარიძე), შეასრულა ვადამდე — 23 ნოემბერს.

მოგება ათი თვის განმავლობაში უდრის — 1430 ათას მანეთს, გეგმით გათვალისწინებული 883 ათასი მანეთის ნაცვლად. მიმოქცევის ხარჯები ამ ხნის განმავლობაში შემცირებულია 0,35 პროცენტით.

საქვაჭრობის დირექციამ იკისრა ვალდებულება წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გაანაღდოს 16 მილიონი მანეთის საქონელი.

საბინაო მშენებლობა თბილისში

თბილისში არსებული საბინაო-სამშენებლო ამხანაგობები მიმდინარე წლის განმავლობაში ქალაქში აშენებენ 14 საცხოვრებელ სახლს. აქედან დეკემბერში უნდა დამთავრდეს 12 სახლი, ხოლო დანარჩენი ორი სახლის აგება დამთავრდება 1937 წელს.

ამ სახლების მშენებლობაზე წელს საბინაო-სამშენებლო ამხანაგობები ხარჯავენ 1.305.600 მანეთს. დეკემბრის განმავლობაში ახლად აგებულ სახლებში შეასახლებენ საბინაო ამხანაგობათა წევრების 114 ოჯახს.

1937 წლის გეგმა არ ითვალისწინებს ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაწყებას. სამაგიეროდ, საბინაო-სამშენებლო ამხანაგობებს წინადადება აქვთ მიცემული, რათა 1937 წლის ბოლომდე დაამთავრონ ყველა წინა წლებში დაწყებული საცხოვრებელი სახლების აგება. მომავალ წელს გათვალისწინებულია დამთავრდეს 23 უკვე დაწყებული საცხოვრებელი სახლის აგება.

საქპურტრესტმა თბილისში მოაწყო პურის ნაწარმის გასასყიდი სპეციალური მოძრავი კიოსკები: **სურათზე:** რუსთაველის პროსპექტზე ყიდიან ბულკებს მოძრავ კიოსკიდან.

ფოტო ბუდეშტსკაია („სოიუზფოტოს" საქ. განყ).

მისაბაძი ინიციატივა

ინჟინერ-ტექნიკოსთა და პასუხისმგებელ მუშაკთა ცოლების მოძრაობამ ფართოდ მოიკიდა ფეხი. დღეს საქართველოს მრავალ წარმოება-დაწესებულებაში ქალთა ინიციატივამ მეტად კარგი ნაყოფი გამოიღო. მაგალითისათვის ავიღოთ თელავის მტს-ის ინჟინერ-ტექნიკოსთა და აგრონომთა ცოლების საბჭოს მუშაობა (საბჭოს თავმჯდომარე ამხ. თამარ ქადაგიშვილი). ქალთა საბჭომ სრულ წესრიგში მოიყვანა მტს-ის მუშათა სასადილო, სადაც ყოველდღე მორიგეობენ ქალები და იცავენ სისუფთავეს, გარდა ამისა მაგიდებს ამშვენებს ყვავილები. მას შემდეგ რაც ქალთა საბჭომ მიაქცია სასადილოს ყურადღება, კერძების ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ქალთა საბჭოს ინიციატივით მოეწყო აგრეთვე მტს-ის მუშათა კლუბი, საბავშვო ბაგა და ტრაქტორისტთა საერთო საცხოვრებელი. თელავის მტს-ის ქალთა საბჭო მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა.

სურათზე: თელავის მტს ქალთა საბჭოს თავმჯდომარე თამარ ქადაგიშვილი.

საბავშვო ბაღების მშენებლობა

(21 ნოემბრისათვის)

განსახკომის ცნობით, საქართველოს ქალაქებში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა 21 ნოემბრისათვის ასეთ მდგომარეობაში იყო:

ბათუმში საბავშვო ბაღის შენობა 100 ბავშვისათვის მზად იყო 28 პროცენტით.

სოხუმში საბავშვო ბაღის შენობა 100 ბავშვისათვის მზად იყო მხოლოდ 3 პროცენტით.

სტალინირში — 100 ბავშვისათვის — შენობა მზად იყო 16 პროცენტით.

ქუთაისში საბავშვო ბაღის შენობა მზად იყო 38 პროცენტით.

თბილისში ფრთის ქუჩაზე საბავშვო ბაღის შენობა 100 ბავშვისათვის მზად იყო 68.37 პროცენტით. ბაირამოვის ქუჩაზე — 100 ბავშვისათვის — 25,72 პროცენტით. წინანდლის ქუჩაზე — 100 ბავშვისათვის — 39,22 პროცენტით. ძნელაძის ქუჩაზე — 100 ბავშვისათვის — 17.60 პროცენტით. მიტინგის ქუჩაზე — 100 ბავშვისათვის — 52,18 პროცენტით და ფ. ენგელსის ქუჩაზე — 100 ბავშვისათვის — 18.37 პროცენტით.

სპორტი

ფრენბურთელების შეჯიბრება თბილისის პირველობაზე

ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში 24 ნოემბერს გაიმართა ფრენბურთელების პირველობის გათამაშების მორიგი შეჯიბრებანი.

ჩატარებულმა შეხვედრებმა ფრენბურთელების მეტად მაღალი ხარისხი გამოამჟღავნა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ საზოგადოება „მეცნიერების" (სახელმწიფო უნივერსიტეტი) და „მშენებლობის" (ინდუსტრიული ინსტიტუტი) ფრენბურთელები.

ფრიად ძლიერი შემადგენლობით გამოვიდა საზოგადოება „მეცნიერების" ვაჟთა გუნდი. ამ შეჯიბრებაში ისინი არც ერთხელ არ დამარცხებულან. სამაგიეროდ ამავე საზოგადოების ქალთა გუნდი რამდენიმეჯერ ზედიზედ დამარცხდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფიზკულტურის ტექნიკუმის გუნდთან შეხვედრაში „მეცნიერების" საზ-ბის ფრენბურთელმა ვაჟებმა დიდი უპირატესობით დაამარცხეს თავისი მოწინააღმდეგე.

ინდუსტრიული ინსტიტუტის ფრენბურთელები პირველობის [illegible] კანდიდატებს წარმოადგენენ. ვაჟების გუნდთან პარალელურად დიდ წარმატებას აღწევენ ფრენბურთელი ქალებიც.

30 ნოემბერს, ლენინის სახ. სასპორტო დარბაზში შესდგება ფრენბურთელთა პირველობაზე დაწინაურებულ გუნდების შეხვედრა. „მშენებლობისა" და „მეცნიერების" საზოგადოების ვაჟთა გუნდების შეხვედრით გადაწყდება, თუ რომელი მათგანი მოიპოვებს საშემოდგომო ჩემპიონის სახელს.

შ. შ.

ბიბლიოგრაფია

პ. საყვარელიძე — „გზები და ბილიკები"

პ. საყვარელიძის მხატვრული შემოქმედების თემა — 1905 წლის რევოლუცია და მისი მომდევნო წლები. ამ რევოლუციის წარსულიდან, ამ მოვლენების შესახებ მან დასწერა რომანების მთელი ციკლი. სარეცენზიო ნაწარმოები „გზები და ბილიკებიც" თემატიურად ამავე ფონზეა გაშლილი.

რომანის კითხვის დროს პირველი, რაც თვალში მოგვხვდება, ეს არის — საგნებისა და მოვლენების სალი პოლიტიკური თვალსაზრისით გაშუქება. რომანის გმირები ალექსი, სანდრო, ნუცა, მარო და სხვები რევოლუციის ენტუზიასტ რომანტიკოსებია, რომლებიც შავბნელი რეაქციის ხანაში კიდევ უფრო აძლიერებენ თავიანთ რევოლუციურ მუშაობას. ამ ხალხს ერთი წუთითაც არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ რეაქცია დამარცხდება და ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გაიმარჯვებს, ეს დიდი რწმენა მათ ძალღონით ავსებს რევოლუციის სიძნელეებისა და დაბრკოლებების გადალახვისათვის ბრძოლაში.

სიყვარული, ოჯახი, პირადი ცხოვრება ყველაფერი გაშლილია ასეთი რწმენის ფონზე.

პ. საყვარელიძის მხატვრულ შემოქმედებას დღემდე ერთი დიდი ნაკლი ახასიათებდა, რაც მას თავის დროზე შენიშნეს მკითხველებმა და კრიტიკოსებმა. ეს იყო რევოლუციის საქმეში ქალების როლის [illegible] დაყვანა, ქალთა შორის თავდადებული მებრძოლების არდანახვა. ეს ნაკლი სარეცენზიო ნაწარმოებს უკვე აღარ ახასიათებს და მასში უხვად მოცემულია რევოლუციონერ ქალების ტიპები. მარო, ნუცა, კატო, და სხვები ისევე შეზრდილი და შეთვისებული არიან რევოლუციის საქმესთან, როგორც სანდრო, ალექსი და მისი ამხანაგები.

ნაწარმოები დაწერილია სათავგადასავლო თხრობის სტილით. თითქმის ყოველი მომქმედი პირის თავგადასავალი, ზოგჯერ უმნიშვნელოსიც კი, ერთობ ვრცლად და დაწვრილებით არის მოცემული. ნაწარმოებში იმდენი პირის თავგადასავალია აღწერილი, რომ მკითხველი ზოგჯერ იბნევა კიდეც იმის გამოცნობაში, თუ ვის თავგადასავალს კითხულობს. მაგალითად, სანდროს თავგადასავალი შეიცავს რამდენიმე მომქმედი პირის თავგადასავალს. ეს ნაწარმოების კომპოზიციური აგების სისუსტეს და მის რამდენადმე პრიმიტიულობას მოწმობს. აქედან მოდის ნაწარმოების სხვა ნაკლი: [illegible], ზოგიერთი უმნიშვნელო მომენტის ბიოლოგიური ნატურალისტური ასახვა, მთავარი თემის მივიწყება და მეორეხარისხოვან ეპიზოდებში გადავარდნა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა თავგადასავალი როდია საინტერესო. [illegible] ისტორია და [illegible] მიმზიდველიც კი არის.

მიუხედავად ამ ნაკლისა, სარეცენზიო ნაწარმოები მაინც ხალისით იკითხება და აქვს რევოლუციურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ა. ჯ.

კრებები

— დღეს, საღამოს 8 ს. განათლების მუშაკთა სახლის (ტოლსტოის ქ. 3), მცირე დარბაზში გაიმართება პროფ. ა. ბარამიძის ლექცია თემაზე: „საქართველოს კულტურული ცხოვრება რუსთაველის ეპოქაში". დასწრება თავისუფალია.

— თბილისის სახ. უნივერსიტეტში, 29 ნოემბერს, საღამოს 8 ს. პროფ. გ. ნანეიშვილი წაიკითხავს ლექციას თემაზე: „საარჩევნო სისტემა კაპიტალისტურ ქვეყნებში".

— 1 დეკემბერს, მწერალთა სასახლეში მოხდება რ. გვეტაძის ახალი რომანის „ლამაზი საღამოების" საჯარო განხილვა. მოხსენებას წაიკითხავს ორდენოსანი [illegible] მ. ჯავახიშვილი. მოხსენების შემდეგ კამათი. დასწრება მოსაწვევი ბარათებით.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

28 ნოემბერს აგიტატორთა კურსების (ყველა ჯგუფი) მეცადინეობა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საქ. კპ (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სტალინური კონსტიტუცია — გამარჯვებული სოციალიზმის ისტორიული დოკუმენტი". დღის 1-დან 3 ნახ. საათამდე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ამხანაგი სტალინი საბჭოთა კავშირის კლასობრივი სტრუქტურის შესახებ". დღის 1-დან 3 ნახ. საათამდე და საღამოს 8-დან 10 საათამდე.

პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სოციალისტური საკუთრება — საბჭოთა საზოგადოების ურყევი საფუძველია". დღის 1-დან 3 ნახ. საათამდე და საღამოს 8-დან 10 საათამდე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ამხანაგი სტალინი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტის ძირითად თავისებურებათა შესახებ". დღის 1-დან 3 ნახ. საათამდე და საღამოს 8-დან 10 საათამდე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ამხანაგი სტალინი კონსტიტუციის არსის შესახებ". დღის 1-დან 3 ნახ. საათამდე და საღამოს 8-დან 10 საათამდე.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

28-XI	ნაბიჭვარი
29-XI	შემოდგომის აზნაურები

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

28-XI წარ. № 43	ცხვრის წყარო
30-XI წარ. № 45	მზის დაბნელება საქართველოში

დღეს საკინოთეატრებში

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	ჩარლი ჩაპლინი ხმოვან სურათში „ახალი დროება"
დამკვრელი 6-45, 8 45, 10-45	ახალი ხმოვ. ფილმი გამარჯვებულთა თაობა
კომკავში რიგი 6-30, 8, 9-30, 11	ხმოვანი კომედია ქალიშვილს პაემანზე მიიჩქარება
რ. ლუქსემბურგის სახ. 6-45, 8 45, 10-4	ფერადი ხმ. ფილმი გრუნია კორნაკოვა
26 კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	მხატვრული ფილმი წითელი ეშმაკუნები
ახალი ამბები	[illegible] ამბები მე-7 და მე-8 გამოშვება, ხმოვანი ჟურნალი № 50.

საცირკი ტელ. 3-11-44

დღეს 28 ნოემბერს დიდი საცირკო წარმ. 3 განყოფილებად პროგრამის მე-2 ციკლი. [illegible] მ. ზოლლო თავისი ოთხფეხი არტისტებით. [illegible] არტისტთა და ახალ გასტროლიორთა გამოსვლ. დასაწყ. 8 ს. 30 წ. სალარო 12-2 ს. და 5 ს.-დან.

30/XI დღისით 2 წარმ. ზოლოს მონაწ. დასაწყ. 12 და 2 ს.

საქკონსერვმრეწმარაგის ბათუმის საზღვაო ბაზა

იმყოფება საქკონსერვტრესტის გამგებლობაში. რეგისტრირებულია ქალაქის ფინგანში 1936 წ. 14 აპრილს № 31. საქმიანობის საგანი: ტარის წარმოება და კვებმრეწვის სახალხო კომისარიატის სისტემის ტარით მომარაგება. საანგარიშსწორებო ანგარიში № 55-586 საზბანკის აჭარის განყოფილებაში. მისამართი: კომუნარების ქ. № 86.

თავმჯდომარე ბოჭორიშვილი.

1078 მთ. ბუღალტერი პოპოვა.

საცირკი 29 ნოემბერს, საღ. 11 ს. 30 წ. ჩვეულებრივი მორიგი საღამოს წარმოდგენის შემდეგ, გაიმართება გრანდიოზული ღამის წარმოდგენა და კონცერტი-ბალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ყველა თეატრების სცენის გამოჩენილი ოსტატები და საცირკო ხელოვნების საუკეთესო ოსტატები. წარმოდგენის შემდეგ ცირკის მანეჟში, იატაკზე დილამდის ცეკვა ჯაზით, კონფეტი, სერპანტინი, ყვავილები, თამაშობანი, მოიკის 3 ორკესტრი. ბუფეტი

მთელი შემოსავალი გადაიდება ესპანეთის ქალთა და ბავშვთა დახმარების ფონდში.

პროგრამას ხელმძღვანელობს გრიბოედოვის სახ. თეატრის მსახიობი ვლ. დავ. [illegible] დასაწყისი საღ. 11 ს. 30 წ.

23 ნოემბრისათვის შეძენილი ბილეთები ვარგა 29 ნოემბერს. 300

საქართველოს მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ

ა.-წ. 23 ნოემბრიდან—20-დეკემბრამდე საქართველოს სსრ. ტერიტორიაზე არსებულ დაწესებულებებისა და წარმოების ყველა ავტო-მოტო-მანქანები, გამწევები, რეზინებით მავალი სატრანსპორტო ტრაქტორები და მისაბმელები უნდა გატარებულ იქნენ დაწესებული ტექნიკური დათვალიერებაში.

საქართველოს ს.ს.რ. პერიფერიებში არსებული ავტო-მოტო-მანქანები დათვალიერებას გადიან შემდეგ პუნქტებში: წყაროს-წყალში, გორში, ბორჯომში, ქუთაისში, სამტრედიაში, ზუგდიდში, მახარაძეში ფოთში, ბათუმში, სოხუმში და გაგრაში.

ქ. თბილისში და მის რაიონებში არსებული ზემოთ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები ტექნიკურ დათვალიერებას გადიან ქვემოთ მოყვანილ ვადებში, რომლებიც ეკუთვნის.

ცაკს, სახკომსაბჭოს და სახკომსაბჭოს დამზადების კომიტ.	28	ნოემბერს
მძიმე მრეწვ. სახ. კომის. და მსუბ. მრეწვ. სახ. კომისარიატს	29	"
მიწად მოქმედების სახკომისარიატს	30	"
შინვაჭრობის სახკომის. და კვების მრეწვ. სახ. კომისარიატს	1-ლ	დეკემბერს
კომუნალურ მეურნეობის სახკომის. და სატყეო სახ. კომისარიატს	2	"
კავშირგაბმულობის სახ. კომის. და გზათა სახ. კომისარიატს	3	"
ადგილობრივ მრეწვ. სახ. კომისარიატს	4	"
სარეწაო კოოპ. საქ. საბჭოს ცენტრ. კავშირის და საგარეო ვაჭრობის სახკომის.	5	"
პარტ-პროფ. და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.	6	"
ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს და სამოქალაქო საჰაერო ფლოტს	7	"
კერძო პირებს და პირად მოსარგებლეებს	8-9	დეკემბერს
დანარჩენ ორგანიზაციებს	10-11	"

იმავე ავტომეურნეობებში, სადაც ხუთზე მეტი მანქანებია ტექნიკური დათვალიერება იწარმოებს სახავტოინსპექტორების მიერ უშუალოდ აღნიშნულ ავტომეურნეობებში.

იმ მფლობელებმა, რომელთა მანქანებიც შეკეთებაში ან მივლინებაში ყოფნის გამო ან რაიმე სხვა მიზეზებით მითითებულ ვადებში ვერ იქნებიან წარმოდგენილი ტექნიკურ დათვალიერებაზე — უნდა შეიტანონ ასეთის შესახებ განცხადება მილიციის სამმართველოს სახავტოინსპექციაში მანქანის ადგილსამყოფლის ზუსტი მისამართის ჩვენებით, მისი ტექნიკური პასპორტის დართვით არა უგვიანეს ამ მანქანების დათვალიერებისათვის დაწესებულ ვადისა.

მანქანების დათვალიერების პუნქტად ქ. თბილისში დანიშნულია მ.-გლეხური მილიციის ცხენოსან დივიზიონის ტერიტორია (საბურთალო) მანქანების წარმოდგენის დრო ტექნიკურ დათვალიერებაზე 8-დან 17-საათამდე.

ავტო-მანქანების, მრეწველების და სატრანსპორტო ტრაქტორების ტექნიკური დათვალიერების ღირებულება 15 მან. მოტოციკლეტების და მისაბმელებისა—კი 10 მანეთი.

მფლობელნი, რომლებიც თავს აარიდებენ მანქანების წარმოდგენას ტექნიკურ დათვალიერებაზე ზემოდ დაწესებულ ვადებში, მიეცემიან პასუხისგებაში 300 მანეთამდე ჯარიმის დადებით (პროპორციულად იმ პირთა ანგარიშზე, რომლებიც იქნებიან დამნაშავენი მანქანის ტექნიკურ დათვალიერებაზე თავის დროზე წარმოუდგენლობაზე).

საქართველოს მ.-გ. მილიციის უფროსის მოადგ. მილიციის კაპიტანი ყელაძე

სახავტოინსპექტორის უფროსი ხორჩილოვი

საქ. უზენაეს სასამართლოს ა. წლის 20 ოქტომბრის დადგენილების თანახმად ზუგდიდის რაიაღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის მეურნეობა „კ ო ლ ხ ი დ ა"

ლიკვიდირებულია

მისი არა შემძლეობის გამო.

ამასთან დაკავშირებით, მეურნეობა „კოლხიდას" საქმეზე დაარსებული სალიკვიდაციო კომისია წინადადებას აძლევს ყველა კრედიტორებს პრეტენზიები წარუდგინონ ლიკვიდკომს არა უგვიანეს ა. წლის 20 დეკემბრისა, რის შემდეგ პრეტენზიები მიღებული არ იქნება.

ლიკვიდკომის მისამართი: ზუგდიდი, ადგილობრივი მრეწველობის შენობა, „კოლხიდას ლიკვიდკომი". 16 83

საქართველოს ადგილობრივი მრეწვ. სახ კომისარიატის ფეხსაცმლის სახელოსნო

(ქ. თბილისი, 19 თებერვლის ქ., № 8) რეგისტრირებულია 26 კომუნარის სახ. რაიონის ფინგანში 1936 წ. 28 ოქტომბერს № 1ი. საანგარიშსწორებო ანგარიში საზბანკის საქალაქო განყოფილებაში № 98174.

დირექტორი ლეონიძე.

უფრ. ბუღალტერი ბალიკაშვილი. 847

საქ. კურორტთა მთავარი სამმართველო აცხადებს,

რომ 1937 წლ. სანატორიო საწოლების (აბასთუმანი, ბორჯომი, წალვერი, პ ცემი, წყალტუბო, შამშოვი) იჯარით აღებაზე განცხადების წარმოდგენის უკანასკნელ ვადად დანიშნულია 1936 წ. 1 დეკემბერი. დაგვიანებით წარმოდგენილი განცხადები დაკმაყოფილებული არ იქნება.

განცხადები უნდა გამოიგზავნოს—ტფილისი, ძნელაძის ქ. № 30, კურბიურო, პირველი სართული, ოთახი № 22.

848 კურსამმართველო.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკა

იმყოფება ადგილობრივი მრეწვ. სახ. კომისარიატის გამგებლობაში. რეგისტრირებულია ქუთაისის ფინგანში 1936 წ. 14 თებერვალს, № 95. საქმიანობის საგანი: მაუდეულის დამზადება. საანგარიშსწორებო ანგარიში № 48 105 საზბანკის ქუთაისის განყოფილებაში. მისამართი: წულუკიძის ქ., № 36.

დირექტორი ნ. კენჭოშვილი.

მთავ. ბუღალტერი მ. რევიშვილი.

1008—103

სრულიად საქართველოს „სარეწაო კავშირის" სისტემის არტელ „ტეხნოხიმის"

დასკვნითი ბალანსი

აქტივი 1936 წ. 1 იანვრისათვის პასივი

№№ რიგზე	მუხლების დასახელება	თანხა	№№ რიგზე	მუხლების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	279.065—36	1	ფონდები	249.886—19
2	კაპიტალური დაბანდებანი	19.235—50	2	მარეგულირებელი მუხლები	9.680—57
3	საწარმოო მარაგები	184.824—11	3	გრძელვადიანი კრედიტები	116.200——
4	ფულადი საშუალებანი	2.468—05	4	მოკლე ვადიანი კრედიტები	5.000——
5	საშუალებები ანგარიშსწორებებში	19.519—65	5	ანგარიშსწორებანი	195.078—98
6	ხარჯები მომავალი დროისა	14.978—67	6	დაგროვებანი	24.521—36
7	განყენებული საშუალებანი	80.275—71			
	ბალანსი	600.367—05		ბალანსი	600.367—05

არტელის თავ-რე: ტ. ბიგაევი. მთავ. ბუღალტერი: შ. გრიგორიანი.

დამტკიცებულია „სარეწაო კავშირის" საბალანსო კომისიის მიერ. 1601

მისამართები: რედაქციის—თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 16 გამომცემლობის—რუსთაველის პროსპექტ № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო სამეურნეოსი 3—73—40. მუშკორთა წერილების 3—73—24, ღამის რედაქტორის 3—26—67, გამომცემლობის 3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ა—8109.